სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №7 (4614) ● 8 ნოემბერი ● 2023 წელი ● ● ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი

27 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა, გილოცავთ!

132-ე სკოლა ჩვენი მეგობარია

დიახ, მეგობრობა - გზად და ხიდად

ჩვენ შორის შემოქმედებითი თანამშრომლობა ტრადიციად ჩამოყალიბდა.

სკოლას უძღვება მრავალნაცადი, სიახლეთა ინიციატორი, ამ საქმით ფრთაშესხმული დირექტორი **თამარ მაჭარაშვილი.** წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და არჩევნებშიც გაიმარჯვა. ვულოცავთ! მას ერთგულად მხარში უდგას ასევე გამოცდილი მოადგილე **ეკატერინე დათუკიშვილი**. იგი პედაგოგისა და ხელოვნების მუშაკის ოჯახშია აღზრდილი. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა: ამ სტატიის ავტორი და **ჟულიეტა ქარჩავა** აფხაზეთში მეზობლები ვიყავით. აქ კი განათლების სისტემის ამაგდარი და სახელოვანი მოღვაწე გახდა, დიდხანს წარმატებით უძღვებოდა თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დიდ 173-ე საჯარო სკოლას. რატომ ვამბობ ამას? - ახალმა თაობამ არ იცის, „ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ, ქართველნი წინა დროსა”. სკოლის პედკოლექტივი? სწორედ ამაზე და კიდევ ბევრ სიკეთეზე გვექნება ქვემოთ საუბარი. მაშ ასე, ვახსენოთ ღმერთი და გავუდგეთ გზასა.

* * *

როგორ მოვემზადეთ და რას ვაპირებთ

წელს გაიხსნა 4 პირველი კლასი. ქართულ სექტორზე 3 და რუსულ სექტორზე 1 პირველი კლასი. 1ა კლასი დამრიგებელი **ანა თოდუა,** 1ბ კლასი - **მზია ჩხაიძე**, 1გ კლასი - **თამარ ნათაძე**, 1დ კლასი - **ასტღიკ მანუკიანი,** წამყვანი მასწავლებლები: **თამარ მაჭარაშვილი, ცისანა ლილუაშვილი, თამარ ნათაძე, შორენა ცაბაძე, თეა ქარდავა, სოფიო კაკაჩია, ნანა ყარაჯაშვილი, თამარ ჩიკოიძე.**

მენტორი მასწავლებელი კი - **თამარ შაღაშვილი**

გვყავდა 1 ვერცხლის მედალოსანი - **რომან ფორჩხიძე**.

XII კლასი დაამთავრა 40 -მა მოსწავლემ. ერთიანი-ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 18. ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა 18-ივემ. 50 %-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა 4-მა მოსწავლემ.

2023 წლის 13 ოქტომბერს ჩვენს საჯარო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა.

არჩევნებში მონაწილეობდნენ მე-7კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით მოსწავლეები, რომელთაც თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების დაცვით აირჩიეს მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ანბანის შემობრძანება - ღონისძიებები ჩატარდა ქართული სექტორის პირველ კლასებში (დამრიგებლები **ანა თოდუა, მზია ჩხაიძე, თამარ ნათაძე**)

სკოლის სამოქალაქო კლუბ „აგორას” ინიციატივით მიმდინარეობდა კვირეული, მიძღვნილი თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით. VII, VIII, IX, X და XI კლასელებმა მოამზადეს პრეზენტაციები. კვირეულის ხელმძღვანელი - **ინგა ამირჯანოვა**.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასებში ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი გაკვეთილები. აფხაზეთის ომი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა. შეიარაღებულ დაპირისპირებას 10 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, 300 000-ზე მეტი კი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა.

სამოქალაქო განათლების მასწავლებლის, **ინგა ამირჯანოვასა** და სოციალური მუშაკების ორგანიზებით ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ აქტივობები.

ასევე ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „ტვინების ბრძოლა”, რომელშიც მონაწილეობდნენ მე-6 და მე-7კლასელებმა.

თამაშის ორგანიზატორები **ეკატერინე დათუკიშვილი, ლანა ჩადუნელი**

განხორციელდა 132-ე, 48-ე და 16-ე საჯარო სკოლებს შორის მომზადებული ერთობლივი პროექტი სახელწოდებით: „26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე”, - სასკოლო საზოგადოება, მოსწავლეები, პედაგოგები.

სკოლა ჩართულია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი(CCIIR) ის პროგრამაში **„EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ”.** პროგრამა დაფინანსებულია გაეროს ქალთა ფონდის (UNWOMEN) მიერ და ხორციელდება UNFPA-მისი მხარდაჭერით”. - **ინგა ამირჯანოვა, სოფიო კაკაჩია, ლანა ჩადუნელი**

2023 წლის 18 თებერვალს წმ. ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში, X-XII კლასის

→ გაგრძელება მე-2 გვ.

იოსებ ნონეშვილი
მასწავლებელი

მასწავლებელი - მშობლის ალერსით ამოქარგული ტკბილი ანბანი,
მასწავლებელი - ნორჩის თვალებში
ჩაშუქებული ცოდნის ლამპარი.

მასწავლებელი - ჩვენს სიყვარულში
განათებული, როგორც ოცნება,
მასწავლებელი - სინდის-ნამუსი,
მხოლოდ ხალასი პატიოსნება.

მასწავლებელი - დედის გულივით
მუდამ კეთილი, მუდამ ნეტარი.
მასწავლებელი - ბავშვის სურვილი:
მასწავლებელი გავხდე ნეტავი.

მასწავლებელი - ცოდნის ნათელით
უსწავლელობის დამმარცხებელი...
აი, რას ნიშნავს მასწავლებელი,
აი, რად გვიყვარს მასწავლებელი.

მორის ფოცხიშვილი

მასწავლებლებო, გისმენთ!

კვლავ თქვენი დღეა და მე ვიგონებ
თქვენი სულივით წმინდა,
ყველა კახაბერს, ყველა დიდგორელს,
ყველას, ვინც დღემდე გვზრდიდა.

მწუხრში თქვენდარი შემწე ვინ ნახა,
გულს გვიცისკროვნებთ მზისებრ –
მასწავლებლებო, მე თქვენ მიყვარხართ,
მასწავლებლებო, გისმენთ!..

ნეტა, უთქვენოდ შვება ვინ ნახა,
სულს გვიცისკროვნებთ მზისებრ –
მასწავლებლებო ყველა მიყვარხართ,
მასწავლებლებო, გისმენთ!..

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

დიდი მადლობა მთავრობას!

საოცნებო ჯილდოს ლაურეატი

ნინო ჯალაღონია 141-ე სკოლის სიამაყეა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ახლად დაფუძნებული „მასწავლებლის ეროვნული პრემიის" დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაზე 11 პედაგოგს გადაეცა მასწავლებლის ეროვნული პრემია - სამკერდე ნიშნები და ჯილდო (10 000 ლარი).

დაჯილდოვდნენ:

- **მედეა ტრამაკიძე** — შიდა ქართლი, გორი, ერედვის მუნიციპალიტეტის ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი;
- **ვენერა აბუსელიძე** — აჭარა, ბათუმი, ბათუმის მე-18 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი;
- **კახაბერ ჩაკვეტაძე** — იმერეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიტირის სკოლის ისტორიის მასწავლებელი;
- **მარინა ბერიანიძე** — ქვემო ქართლი, წალკა, წალკის პირველი საჯარო სკოლის ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;
- **მედეა ბორჩაშვილი** — კახეთი, ახმეტა, ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელ დიუსის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- **ნაზიბროლა მიქელაძე** — აჭარა, ხულო, აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- **ნუნუ ანდღულაძე** — გურია, ჩოხატაური, ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების ქართულისა და მათემატიკის მასწავლებელი;
- **პეტრე ბაბილუა** — თბილისი, ევროპული სკოლის მათემატიკის მასწავლებელი;
- **სამირა ისმაილოვა** — ქვემო ქართლი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კასმულოს საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი;
- **ელმირა ქსპოიანი** — სამცხე-ჯავახეთი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ნინოწმინდის საჯარო სკოლის სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- **ნინო ჯალაღონია** — თბილისი, თბილისის 141-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 27 ოქტომბერი, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე, გამოცხადდება მასწავლებლის ეროვნულ დღედ.

საოცნებო ჯილდოს ლაურეატი

ნინო ჯალაღონია 141-ე საჯარო სკოლის სიამაყეა.

თბილისის 200-ზე მეტი საჯარო სკოლიდან 141-ე ერთადერთია, რომელიც უმაღლესი ჯილდოთი დაფასდა. ამ სკოლის ქართულის მასწავლებელი **ნინო ჯალაღონია** 10 000 ლარითა და სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა. ვიმეორებ, ეს მთელი პედკოლექტივის ღვაწლის დაფასება, განსაკუთრებით დირექტორის **მარინე სამუშიას**, მადგილე **ირინე ასეიშვილის**, სხვა პედაგოგთა მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. ამ ფაქტთან დაკავშირებით გთავაზობთ სკოლის მუშაკთა მოკლე მილოცვას:

გილოცავთ!

ჩვენო ნინო, ყოველთვის იყავით და ხართ ინიციატივიანი, სიახლის მაძიებელი, შემოქმედი, თავდადებული. გიყვართ მოსწავლეები, კოლეგები. თქვენც უყვარხართ მათ, მშობლებს, საზოგადოებას. თქვენი აღსაზრდელები იმარჯვებენ შემეცნებით თუ შემოქმედებით პროექტებში, კონკურსებში. მადლობა ყოველივე ამისთვის. ახალ წარმატებებსა და გამარჯვებებს გისურვებთ. ვიცით, რომ კვლავ გვასახელებთ.

თბილისის 141-ე საჯარო სკოლის მთელი შემადგენლობა.

ნინო ჯალაღონია აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგია, დიდი პედაგოგიურ ოჯახში აღზრდილი, ბაბუა **ნაპოლეონ გერგედავა** საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი იყო აფხაზეთის სკოლებში. ამ სტრიქონების ავტორი და ბატონი ნაპო ერთად ვმუშაობდით ოჩამჩირის რაიონის ზღაპრული სილამაზის ზღვისპირა სოფელ ახალ კინდღში. კვიცი გვარზე ხტისო, აი, ეს ანდაზა ბრწყინვალედ გაამართლა ნინო ჯალაღონიამ.

„სახალხო განათლება+"ს რედაქცია მთელი გულით უერთდება ამ მილოცვებს, ასევე ულოცავს სასახელო პედაგოგს მასწავლებლის დღეს.

ქალბატონო ნინო, „აჰა დიდების და სახელქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!" გამარჯვებით იარეთ!

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი

132-ე სკოლა ჩვენი მეგობარია

დიახ, მეგობრობა - გზად და ხიდად

პირველი გვერდიდან

მოსწავლეებისთვის, პროექტის - „აღმოაჩინე შენი პროფესია" ფარგლებში, ფსიქოლოგიის დოქტორის, ევროპაში აკრედიტებული გეშტალტ თერაპევტის, პროფესორ **თეა გოგოტიშვილის** მიერ მომზადებული გამოყენებითი ფსიქოლოგიის ტრენინგ კურსის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ჩატარდა ოკუპაციის კვირეული. აქტიურად ჩაერთნენ სკოლის რუსული და ქართული სექტორის მასწავლებლები და მოსწავლეები. მოეწყო ფილმის ჩვენება,საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება,კედლის გაზეთის გაკეთება. კვირეულის დასასრულს ჩატარდა ღონისძიება,სადაც მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ ისაუბრეს საქართველოს ანექსიაზე,წაიკითხეს ლექსები. ღონისძიებას ესწრებოდა გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრის დირექტორი.

მიმდინარეობდა პროექტი „ოლიმპიური ფესტივალი სკოლებში" აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს, ფორმალური და არაფორმალური განათლების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების გზით, მოსწავლეებში ოლიმპიზმისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას.

პროექტი 2023 წლის 1 აპრილს დაიწყო და 15 მაისის ჩათვლით გაგრძელდა. პროექტის ხელმძღვანელია **ოლიკო ზვადიშვილი**.

აქტივობაში მონაწილეობდნენ ქართული სექტორის II , III , IV ,VI კლასელები. მასწვლებლები **ოლღა ზვადიშვილი, ინა ნარიჟნიაკ, ლარისა გევორქიანი, გიორგი ფანცულაია.**

კამპანიის „კაცები ზრუნავენ" ფარგლებში მიმდინარეობს კამპანია „boyhood initiative", რომელიც კონკრეტულად მიმართულია 11-13 წლის ბიჭების მიმართ, რათა მათ ასაკობრივ კატეგორიაში ხელი შეეწყოს ძალადობრივი ქცევის პრევენციას, მხარი დავუჭიროთ, თანასწორობის გაღვივებას, ემოციების სწორ გამოხატვას, ჰარმონიული გარემოს შენარჩუნებას. კონკრეტულად ამ მიზნისთვის, ორი თვის წინ დასრულდა კვლევის წარმოება, რომელიც შექმნა ადგილობრივმა კვლევითმა ორგანიზაციამ შვედებთან თანამშრომლობით. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე გადაწყდა 11-13 წლის ასაკის ბიჭი მოსწავლეებისთვის გაკვეთილების ჩატარება,

გაკვეთილები ჩაატარეს: **ალექსანდრე ლორთქიფანიძემ, გიორგი ლიპარიშვილმა, დათო გორგილაძემ;**

სკოლის Xა კლასის მოსწავლეები მოემზადნენ ოკუპაციის კვირეულისთვის. გააკეთეს კედლის გაზეთები, წარმოადგინეს პრეზენტაციები , რომლებიც შეეხებოდა 1921 წლის თებერვლის მოვლენებსა და ასევე ოკუპაციის შემდგომი პერიოდის მძიმე დღეებს. საინტერესო იყო მზადების პროცესი და კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები.

კიდევ ბევრი ჩანაფიქრი განხორციელდება. მათი სიტყვა და საქმე ერთია. მასწავლებლის დღეს გილოცავთ, კოლეგებო! უსაფრთხო, მშვიდობიან, შედეგიან სასწავლო წელს გისურვებთ!

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი.

რედაქტორის მინაწერი: თავშიაც ვთქვით და ბოლოშიც ვიმეორებთ, 132-ე სკოლა ჩვენი გაზეთის საიმედო მეგობარია, მუდამ მხარში გვიდგას, გვეხმარება. ამისთვის უღრმესი მადლობა ყველას და განსაკუთრებით - **თამარ მაჭარაშვილს**!

152-ე სკოლას პროფესიონალები ამშვენებენ

ილვნიან და იმარჯვებენ

მასწავლებლის ოფლგადამდინარე ღვაწლი, ღირსება ჯერჯერობით იოსებ ნონეშვილზე უკეთ ვერავინ შეაფასა. ამიტომ გვაქვს გაზეთის სახელწოდების მარჯვენა მხარეს გამოტანილი მისი გამონათქვამი. ცნობისათვის: პოპულარული ლექსი „**მასწავლებელი**", რომელიც ძვირფას პედაგოგს, ვარო ვარდიაშვილს უძღვნა, პირველად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა.

ერთ დროს მოდაში იყო სხვა პოეტების სტრიქონები: „მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლით ერი." მართლაც, მასწავლებლებზე დიდი გმირობა ვის ჩაუდენია?

ასეთი პედაგოგები მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ 152-ე საჯარო სკოლაში დიდი დირექტორის, **თამარ გურაშვილის** მეთაურობით. კახეთის სკოლიდან გადმოვიდა, თან მოიტანა მდიდარი გამოცდილება, ყველას გაუშინაურდა და ავტორიტეტი მოიპოვა. მხარში საიმედოდ უდგას გამოცდილი მოადგილე **ნანა ლეშკაშელი**.

მაშ, ასე: მომაპყარით ყური თქვენი ეგრე სასმენელნი და მასპინძელ ექმენით სიტყუათა ჩემთა!" (იოანე საბანაძე).

რას მივაღწიეთ და რა გვსურს

წლების წინათ განგებამ სკოლის დირექტორად განმაწესა, მალე ვიპოვე საკუთარი თავი და საქმე, რომელიც შევიყვარე. მივხვდი, სწორი არჩევანი გავაკეთე, მას შემდეგ 35 წელი გავიდა. ამ წლების მანძილზე ვიყავი მათემატიკის მასწავლებელიც და ლიდერიც.

სასკოლო ლიდერობა თანდათანობით ჩემი ცხოვრების მიზანი გახდა. სკოლასა და მხოლოდ მასწავლებლებს შეუძლიათ თავისი გაკვეთილებით, სწორად აღზრდილი თაობებით შეცვალონ უკეთესობისაკენ ქვეყნის მომავალი, რადგანაც მომავალი განათლებაშია, გადარჩენის გზა სკოლაზე გადის.

თბილისის 152-ე საჯარო სკოლაში 2010 წლიდან დავინიშნე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. შემდგომ სამეურვეო საბჭომ უკვე ორჯერ, ზედიზედ ამირჩია დირექტორად.

დამეთანხმებით, ადვილი არ არის ზიდო ის დიდი პასუხისმგებლობის ტვირთი, რასაც ათასობით მშობლის, მასწავლებლისა თუ მოსწავლის მოლოდინები გაკისრებს. არაფერია იმაზე საამაყო და საპატიო საქმიანობა, ვიდრე ახალგაზრდობის აღზრდა, სწორი მიმართულების მიცემა.

ბევრი შრომა დაგვჭირდა იმისათვის , რომ მოგვეპოვებინა საზოგადოების ნდობა და პატივისცემა, ჩამოგვეყალიბებინა სკოლის ღირებულებები და კულტურა.

ვფიქრობ, ეს წლები ჩემს სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ნაყოფიერად გავატარე.

შეუძლებელია ყველა იმ წარმატების ჩამოთვლა, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო: ოლიმპიადებსა და შემოქმედებით კონფერენციებში გამარჯვებული მოსწავლეების სიმრავლე, „**ფლექსის**" პროგრამაში მონაწილეობა და გამარჯვებული მოსწავლე **მანანა გაჩეჩილაძე** - ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებული ოქროს მედლით, მედალოსანთა სიმრავლე, საბაზო საფეხურის წარჩინებული მოსწავლეები, კურსდამთავრებულთა მიერ მოპოვებული გრანტები, ახალი პლატფორმის, **„მომავალი ჩვენია",** ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე შერჩეული 100 საუკეთესო მოსწავლეთა შორის ჩვენი სკოლის მოსწავლეები: **თეკლა ბაბლიშვილი** და **ანასტასია ლობჟანიძე**, რომლებიც ყოველთვიურად 300-ლარიანი სტიპენდიით დაჯილდოვდნენ. ასევე **„ეტალონისა"** და **„იზრუნე.გეს"** პროექტში გამარჯვებული და პირველ ადგილზე გასული **ალექსანდრე ქერეჭაშვილის** ოჯახი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამართულ კონკურსში- **„ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი"** გამარჯვებულ 10 საუკეთესო სკოლებს შორის მოხვედრა და დაჯილდოება. მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებულ **„ითვინინგის"** საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა და მიღებული ევროპული და ეროვნული ხარისხის ნიშნები. სპორტში მიღწეული წარმატებები, ევროპის სამგზის ჩემპიონი მოსწავლეები და ა.შ.

ამ წარმატებების მისაღწევად ერთმანეთის გვერდით დაუღალავად შრომობენ მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები ... მადლობა მინდა ვუთხრა მთელ ჩემს სასკოლო საზოგადოებას ნდობისა და თანადგომისთვის, მადლობა ჩემს მშობლებს, იმისათვის, რომ სკოლის ადგილმონაცვლეობის გამო დღის მეორე ნახევარში მიმდინარე სასწავლო პროცესს გაგებით ეკიდებიან, მშვიდად ელოდებიან ახალი სკოლის აშენებას და ყველა პრობლემას ჩვენთან ერთად ითავისებენ. მადლობა ჩემს მასწავლებლებს დაუღალავი შრომისთვის, გუნდურობისთვის, მიღწეული წარმატებისთვის, მადლობა ჩემს მოსწავლეებს სიამაყის, სიხარულისა და ბედნიერების მონიჭებისთვის.

წინ ახალი გამოწვევებია, მე , როგორც კვლავ ამ სკოლის ლიდერს , იმედი მაქვს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის, წარმატების მიღწევის, რომ კვლავაც აღვზრდით ღირსეულ თაობებს, რომლებიც თავის სიტყვას იტყვიან ქვეყნის ბედნიერი მომავლის შენებაში".

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

რედაქტორის მინაწერი

ყველა პედაგოგს, მოსწავლეს, მშობელს ვულოცავ მასწავლებლის ეროვნულ დღეს. ჯანმრთელობას გისურვებთ, 152-ე სკოლელებო! დიდი მადლობა ქალბატონ **თამარ გურაშვილს** გულალალი თანამშრომლობისთვის!

სასურველი სტუმარი

ჩვენ კი – მასპინძელი მხიარული

__მზიური__ აფციაური ცნობილი მწერალია – ავტორი პოემების, ლირიკული ლექსების, წიგნების, ხშირად იბეჭდება სოლიდურ გამოცემებში: „მწერლის გაზეთში“, ჟურნალ „ათინათში“, „ანთოლოგიაში“ და სხვა. ჩვენს გაზეთში უკვე დაიკავა თავისი სამემკვიდრეო ადგილი. ახლახან გვესტუმრა და მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილი მასალა შემოგვთავაზა.

მასწავლებელი

მასწავლებელი – სამყაროს სუნთქვა,
ძლიერი სულის პირველ-მშობელი,
ღმერთს, მამას, დედას – დასაბამთ უთქვამთ:
– სიყვარულია – ძალა მშრომელი!..
მისგან შეიქმნა ყოველი ქვეყნად,
მის შრომამ შექმნა ადამიანი,
სიწმინდის გრძნობა – ვარდ და იანი,
მისგან იპნევა სიტყვა ჭკვიანი:
პირველი გონი სამყაროს შექმნის,
მასწავლებელი პირველ-ხმიანი.
მასწავლებელი მაშენებელი,
ვითარ ვაზისა ძირფესვიანის,
მასწავლებელი ყველა იგავის,
ჭეშმარიტების სარკე სვიანი!..
გამზრდელ-აღმზრდელ ყოველის, სიტყვით,
ყველა ქმედებით, ენით მზიანით,
მასწავლებელი – ყველას მშობელი,
ვით იაკობი – არს მადლიანი!..
ყველა ეპოქა შექმნა ღვთის სიტყვამ
და სიტყვამ – ღმერთი დიდ მასწავლებლად!
მასწავლებელი – ეს არის ღვთის ხმა!
– ჰქმენით სიწმინდე სასწავლებლებად!..

რაინდსა „ვეფხისტყაოსანს!“

რამ დააფიქრა ჭაბუკი, რა სდევს რაინდსა უხილავს? –
გონს იდუმალი შეჰყრია, გრძნობას რა ხიბლი უხილავს?
ვეღარ დაითმენს რა წუთს სცნობს ხიბლს სიცოცხლისა თუ ხილავს,
რაინდი მხოლოდ ამას გრძნობს და შეუმჩნეველად წუხილ არს...

რაინდი სიტყვაკაზმული, არ ამპარტავანთ მცნობია,
გონიერი და უზადო, კრძალული ჭირთა მწვდომია,
მარგალიტებად ანაკრეფ აზრთაგან გამომცნობია,
ტარიელივით მდუმარე, არცა რა გუმანთ მცდომია...

ერთია გულისტკივილი ცად, ტყე-ღრედ, მიწად მწვდომია,
წაიალა და ჭაბუკთა სიცრუე ვერ მისწვდომია,
ყორნის ყრანტალსა ვამსგავსებ უკაზმულ სიტყვათ მხვდომიანთ,
სათნოა სიტყვა ბრწყინვალე, ყველასთან განსახვდომია...

მიღმა განავრცო ყოველი რჯული და მოდგმა ცხოველთა,
და განაბრწყინა მიჯნურნი სათნო სიტყვათა ყოველთა,
ვცან მიჯნურობა ფაქიზი, გრძნობები ფიფქთა მთოველთა,
და სიყვარული ულევი განსაცვიფრებლად ყოველთა...

რა ტარიელმა შეიპყრო ლომ-ვეფხვი ჩაკონებული
თვალთაგან ცრემლი სდიოდათ... გახევდა გაოგნებული...

რაინდმა ამოიკითხა ცხოველთა შორის ვნებული,
კვლა მიჯნურობა სატრფოთა ანაზდად გახელებული...

რაინდულ ვნებათდუღილმა ერთურთს გაჰყარა მხეცები,
სიყვარულის წილ სიყვარულს განცხრომით დანაცეცები,
რაინდის ძალამ განგმირა ველურ ბუნების შემცნები,
ორი ტრფიალი გრძნობათა ძლიერი ძალთა ქვემცნები...

მიუწვდომელი, სპეტაკი, გრძნობები განაწვალები,
რაინდულ პატივს სჩვევია ზე ლოცვით შენაწყალები,
ვაჟკაცურ ძალთა ძლიერთა და ფაქიზ გრძნობათ ტარებით,
შეუცნობად გმირს ვეძიებთ: „ვეფხისტყაოსნის“ კრძალებით...

ზეამაღლებულ ზეკაცად იხსენიება რაინდი,
რამეთუ ღმერთმა შეამკო ძალგულოვნება ხმა იგი,
რამეთუ თმენით დამოძღვრა: გასაოცარი წვათ რიგი...
შორს ტრფობით გაუმაძღარი, შეუწირავი ტარიგი!..

მზიური აფციაური

P.S. ეს დავწერე უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

საქმემან შენმან გამოგაჩინოს

ასე ქმნიან აწმყოსა და მომავალს

სწავლა-აღზრდას საწყისსასრული არა აქვს. კი, არის ოფიციალური ინსტრუქციები, მეთოდიკა, ცირკულარები თუ რეკომენდანციები, მაგრამ ყოველივე ამას შემოქმედებითად გააზრება, თითოეულ აღსაზრდელზე მორგება და ასე განხორციელება სჭირდება, რადგან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, შეიძლება ითქვას, უკიდეგანოა და პედაგოგი რაც უფრო მეტ თავისას , სულსა და გულში გამოტარებულს ჩააქსოვს მასში, შედეგი მით უფრო უკეთესი იქნება.

ეს კარგად უწყიან თბილისის 108-ე საჯარო სკოლაში (ამ სკოლაზე, პედკოლექტივის მართლაც მნიშვნელოვან წარმატებებზე, რამდენჯერმე წერდა ჩვენი გაზეთი), რომელსაც განათლების დარგის ამაგდარი, ღვაწლმოსილის მუშაკი, ქალბატონი **მაია მღვდელაძე** უდგას სათავეში. კოლექტივთან კოლეგიალურად, მიზანმიმართულად მუშაობენ დირექტორის მოადგილეები, ქალბატონები: **ნინო არობელიძე** და **თამარ გელაშვილი.**

სკოლა რთული ორგანიზმია. მისი გამართული მუშაობა ყოველი წახნაგის ურთიერთშეთანხმებული, გეგმაზომიერი მუშაობის შედეგია. ამიტომ მნიშვნელოვანია საქმისმწარმოებელ, ქალბატონ **მარინა ჩუბინიძის,** საინფორმაციო მენეჯერის, ქალბატონ **სალომე რაზმაძისა** და ბუღალტერ, ქალბატონ **მიმოზა გამცემლიძის** წვლილი სკოლის საერთო წარმატებაში.

სტანისლავსკის თქმით, თეატრი საგარდერობოდან იწყება. სკოლა საიდანღა იწყება? პედაგოგიდან და პედაგოგითვე მთავრდება. 108-ე სკოლას, სადაც ადმინისტრაცია განუხრელად ზრუნავს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად (შესატყვისად, სწავლა/სწავლების დონის უფრო და უფრო გასაუმჯობესებლად) წლეულს 4 სტატუსამაღლებული პედაგოგი შეემატა – ქალბატონებს: **ლელა მირზაშვილი, ბელა გზირიშვილსა** და **თამუნა ვალიშვილს** – მენტორის, ხოლო ქალბატონ **სოფიკო ბაქუზაშვილს** წამყვანის სტატუსები მიენიჭათ.

სკოლის პოპულარობის ერთი, მაგრამ უტყუარი დასტური მასზე დიდი მოთხოვნაა: ამ სასწავლო წელს პირველ კლასში 150 ყმანვილი ჩაირიცხა და 6 პარალელური კლასი გაიხსნა.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა, ქალბატონებმა: **თინათინ წიკლაურმა, ირმა ათაბეგაშვილმა, ნანა მესხიშვილმა, სოფიკო ბაქუზაშვილმა, ლელა მირზაშვილმა** და **ზანდა მაგრაქველიძემ** საფუძვლიანად იციან ამ ასაკის ბავშვების ფიზიკურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი და სწორედ ამის შესატყვისად, ნაბიჯ-ნაბიჯ შეჰყავთ პატარები ცოდნის სამყაროში.

ადგილის სიმცირის გამო, 108-ე სკოლის შემოქმედებით მუშაობაზე სათქმელი ნათქვამზე გაცილებით მეტი დაგვრჩება, მაგრამ ამ „მოკლე სიტყვის“ მიღმაც აშკარად გამოჩნდება ის მრავალმხრივი, გააზრებული მუშაობა, სკოლა რომ ჰარმონიული, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების აღსაზრდელად ეწევა.

თეზისურად მაინც ჩამოვუყვეთ კათედრების მიხედვით: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ინიციატივით, ქართული ენის დღის აღსანიშნავი კვირეული გაიმართა; შარშან, მათემატიკაში კომპლექსური დავალების ფარგლებში (მასწავლებელი, ქალბატონი **ლალი სურმავა**) მოსწავლეებმა შექმნეს მაკეტი, რომელსაც ისეთი წარმატება ხვდა STEM პროექტების გამოფენაზე, რომ განათლებისა და მეცნიერების მაშინდელმა მინისტრმა, ბატონმა **მიხეილ ჩხენკელმა** სამადლობელო წერილით მიმართა სკოლას. საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრამ გამართა ღონისძიება „არა – პლასტმასებს“; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ გაკვეთილების ციკლი ჩაატარა ლოზუნგით: „ჯანსაღი ცხოვრების წესი ჯანმრთელობის საწინდარია“; ისტორიის კლუბმა „არგონატებმა“ უმცროსკლასელებისთვის მონახეს შემეცნებითი აქტივობა; აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე; ჩაერთო საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციისა და განათლების სამინისტროს ერთობლივ პროექტში; დაფუძნდა მშობელთა კლუბი; შეიქმნა რობოტიკის კლუბი; უცხო ენების კათედრამ მოაწყო ევროპული ენების კვირეული...

ამ მშრალი ჩამონათვალის მიღმა ხომ მართლაც აშკარად ჩანს, რაოდენ შრომას ეწევა 108-ე სკოლის პედაგოგთა კოლექტივი ძირითადი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიღმა?

სკოლამ ასე ჩამოაყალიბა თავისი მისია, ხედვა და ღირებულებები (სამწუხაროდ, ესეც ლამის თეზისურად).

მ ი ს ი ა:

პოზიტიური, უსაფრთხო და თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა;

ხ ე დ ვ ა:

სკოლა კიდევ უფრო მოთხოვნადი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულება გახდება;

ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ებ ი:

სამართლიანობა, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა, თანამონაწილეობა, გუნდურობა, პასუხისმგებლობა, მოტივაცია, ხარისხზე ორიენტირება და განვითარება, უსაფრთხოება, ჰუმანიზმი, ტოლერანტობა.

აი, ასე ქმნის სკოლა თავის აღსაზრდელებისათვის დიდებულ აწმყოსა და დიდებულ მომავალს, რათა სამშობლოს ყოველმხრივ განვითარებული, ქვეყნის მოყვარული თაობები აღუზარდოს.

მარიამ ხატიაშვილი–გურგენიძე

სხვაგვარად არ ძალუძთ!

ერთ გონიერ კაცს უთქვამს, ცუდად ცოდნას სულაც არცოდნა ჯობსო. ცუდად ცოდნას სხვაგვარად დილეტანტობა ჰქვია. გააპარტახა ქვეყანა დილეტანტობამ და დილეტანტთა, უვიცთა თარეშმა. მიმოვიხედოთ.

ამ მქისე ფონზე მით უფრო დასაფასებელნი, გამოსარჩევნი და დასაფასებელნი არიან ისინი, ვინც ხოტბის, გამორჩენის გარეშე პატიოსნად, თავჩარგული რუდუნებით მუშაკობს იქ, საითაც გული უხმობს, საცა აზრთაგამრიგემ განაწესა.

და ნუ ვედრებით ერის ჭეშმარიტად ზეპურ მამებს. მოღვაწე, მოღვაწეობა ძალზე ფართო და ტევადი ცნებებია. ყველა იმას გულისხმობს, ვინც ალალად ასრულებდა ღვთით დაკისრებულს და ოდითგან ასე რომ ყოფილიყო, ეგებ, აღარც დავითს დასჭირვებოდა აღმაშენებლობა, აღარც დემეტრეს თავდადებულობა, აღარც გიორგის ბრწყინვალეობა და აღარც ასიათასობით უსახელო უფლისციხელს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირვა.

დასტურად „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი“ მოვიხმოთ: „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის გაწეული შრომა, მუშაობა, მოქმედება“. ქვეყნისათვის კი ნებისმიერ ჩვენგანს ძალუძს ნებისმიერ ადგილზე იმუშაკოს, ოღონდ, საამისო კეთილი ნება ჰქონდეს და თითო აგური შემატოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერს.

სწორედ ასეთთაგანი – თავჩარგულად, რუდუნებით რომ ზრდიდა ქვეყნისთვის ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან კვალიფიციურ მუშათა კადრებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში, ხოლო 1992 წელს ამ მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დააფუძნა კერძო საშუალო პროფესიული სასწავლებელი „ორიენტირი“ და სამედიცინო მიმართულებით დაიწყო სპეციალისტების მომზადება, ბატონი **ანზორ მაჭარაშვილი** გახლავთ.

იმთავითვე უწყოდა ბატონმა ანზორმა (საქმეში ჩახედულთათვის, ცხადია, საბჭოთა ხანს განათლების ამ სისტემამ, სხვა სიკეთესთან ერთად, როგორ შეუწყო ხელი საქართველოში დემოგრაფიული ვითარების სტაბილიზებას), რომ პროფესიული განათლების განვითარება და მაღალი დონის სპეციალისტების მომზადება ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას უწყობს ხელს, რომ საჭიროა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და თავსებადობა, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა, რაც სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი, ინოვაციური ფორმების შეთავაზებას მოითხოვს ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, ხოლო პროფესიული განათლების მორგება შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებზე და ყმაწვილების მომზადება დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის დიდ ვალდებულებებს აკისრებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებ/

კოლეჯებს, რათა ნამდვილად კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტები მოამზადონ. ამიტომ იყო რომ საქართველოს პრემიერ მინისტრმა ბატონმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** პროფესიული განათლება ქვეყნის პრესტიჟურ დარგად გამოაცხადა, ხოლო ცოტა ხნის წინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ბატონმა **გიორგი ამილახვარმა** ქვეყანას გააცნო პროფესიული სწავლების სტრატეგიული გეგმა.

და კარგია, როცა აღნიშნული ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობას იღებს კერძო იურიდიული პირი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, კოლეჯები.

კოლეჯს უმალვე დაეტყო პროფესიონალის ხელი: სასწავლებელი გაიზარდა და გაფართოვდა – საკუთარი რესურსით ააგო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა სათანადო შენობა. ცხადია, ეს კოლეჯზე მზარდმა მოთხოვნამ განაპირობა და ჩავუკვირდეთ: შენობა პირადი სახსრებით აშენდა. განა, ეს ღვაწლი არ არის?!. მით უფრო, რომ ასე მოკლედ თქმულის მიღმა დიდი ძალისხმევა ძევს.

ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო, მაგრამ ასე რომ „ახტუნო“, ამას საძირკველი იქიდანვე უნდა ჩაუყარო, საიდანაც, ეკზიუპერის თქმით, ყველანი მოვდივართ – ბავშვობიდან. ბავშვი კი, უპირველესად, ოჯახში იზრდება და ბატონ ანზორისა და მისი მეუღლის, ქალბატონ **ციცო ბულაძის** – ვინც ჭეშმარიტი ქართველი მანდილოსნის დარად იდგა ოჯახის დედაბოძად – შვილებმა – ქალბატონმა **სოფიომ** და ბატონმა **რამაზმა** სწორედ იქ შეიძინეს, გაიცნობიერეს, რაოდენი მადლია გაცემული სიკეთე, ზრუნვა მოყვასზე და მამას ამოუდგნენ გვერში სწავლა-აღზრდის ესოდენ საპატიო, მაგრამ ერთობ რთულ გზაზე. და ისე ამოუდგნენ, რომ კოლეჯს კვლავ გაფართოება დასჭირდა. ასე დაარსდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია, რომლის რექტორადაც ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ქალბატონი **სოფო მაჭარაშვილი** დაინიშნა. ბატონი ანზორის პენსიაზე გასვლის შემდეგ კი „ორიენტირის“ დირექტორად ბატონი **რამაზ მაჭარაშვილი** დაინიშნა. იყო დრო, როცა მამა და 2 შვილი ერთდროულად ედგა სათავეში 3 კოლეჯს. ეს კი უნიკალური შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში, არა მხოლოდ – მოვლენის, არამედ ხარისხის თვალსაზრისითაც.



პროფესიული განათლება თავისი ბუნებით დუალურია (ორმაგი) სწავლება. პროფესიული სტუდენტი, თეორიულ მომზადებასთან ერთად, პრაქტიკულ უნარ ჩვევებს შეისწავლის. ორ ადგილას სწავლობს: პროფესიულ სასწავლებელში მომავალ პროფესიასთან დაკავშირებულ თეორიულ მასალას სწავლობს, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან სხვა ადგილზე შექმნილ სპეციალურ პირობებში პრაქტიკულად ეუფლება პროფესიას.

რადგან საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით სრულყოფილად განვითარებული არ არის და საწარმოების/კომპანიების სიმცირეა, ხშირია შემთხვევა როცა პრაქტიკის გავლის შესაბამისი ადგილების შერჩევა გაძნელებულია, ან საწარმოო/კომპანია ზოგჯერ უარს აცხადებს პროფესიული სტუდენტის თავის ობიექტებში პრაქტიკის გავლაზე, ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თეორიულსა და პრაქტიკულ სწავლებას უშუალოდ სასწავლებლის ბაზაზე.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ეფექტურ კომუნიკაციას მასწავლებელსა და სტუდენტს შორის საბოლოო მიზნის მისაღწევად - კვალიფიცირებული კადრების მოსამზადებლად - მაგრამ აუცილებელია საჭირო დონის სახელოსნოები, პრაქტიკული სწავლების საშუალებები და პოლიგონები.

ამ მხრივ, მართლაც, გამორჩეულია კოლეჯი - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია რომელიც 2014 წელს დაფუძნდა, და 2019 წლიდან დღემდე ISO 9001:2015 საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელია.

აკადემიამ თავის მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლისათვის ინოვაციური მიდგომებით - მაღალი ხარისხის სასწავლო პირობების შეთავაზება და პერიფერიებში სასწავლებლის ბაზის გაფართოება დაიახა მიზნად და აღწევს კიდეც, რასაც, კვლავ და კვლავ, კოლეჯის განუხრელად მზარდი პოპულარობა უდევს საფუძვლად.

საჩხერეში 3700 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი შეიძინა და თანამედროვე ტიპის პროფესიული განათლების შენობა დააპროექტა.

მართლია, აქამდე აკადემიას იქ იჯარით აღებულ ფართში განთავსებული განყოფილება ჰქონდა, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა პროფესიულ საგანამათლებლო პროგრამებზე

სწავლის მსურველთა გაზრდილ მოთხოვნებს, რის გამოც მსურველთა გვარიანი ნაწილი პროფესიული განათლების გარეშე რჩებოდა.

საჩხერის მუნიციპალიტეტში 13 ადმინისტრაციული ერთეულია, სადაც 54866 მოსახლეა,. საჩხერისა და მეზობელი ჭიათურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არც ერთი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, კოლეჯი არ არის.

ხომ ითქვა, აკადემიის მზარდ პოპულარობაზე. ამის ყველაზე უტყუარი დასტური სწორედ ესაა. აკადემია თანამედროვე სტანდარტების მქონე შენობას აშენებს, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს, რაც პროფესიულ სტუდენტებს გაუდვილებს კოლეჯთან კომუნიკაციას და დაუზოგავს ფინანსურ რესურსებს.

მშენებლობის პროექტი ყველა საჭირო სათავსოს ითვალისწინებს: სასწავლო აუდიტორიებს, კაბინეტ-ლაბარატორიებს, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების სამუშაო სივრცეებს, საკონფერენციო დარაბაზებს, სტუდენტების სამუშაო და დასვენების ადგილებს. ყოველ სართულზეა სველი წერტილები; შენობას ექნება ფართო დერეფნები და თანამედროვე დიზაინით მოწყობილი ფოიეები. სათავსოები აღჭურვილი იქნება სათანადო ინვენტარითა და ტექნიკური ხელსაწყოებით, ეზოში განთავსდება სპორტულ-გასართობი სივრცეები და ავტოსადგომი.

ამჟამად შენობის ძირითადი ნაწილი დასრულებულია და შიგა მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი ბანკის კრედიტით ხორციელდება. ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში სამუშაოები მთლიანად დასრულდება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალისტების მომზადების არეალის კიდევ უფრო გაფართოებას

დაბოლოს, მშენებლობა ბანკის კრედიტით ფინანსდება. რამხელა რისკია ეს, მაგრამ **მაჭარაშვილებს** მიაჩნიათ, რომ ის საქვეყნო საქმე, რასაც შეჭიდებულნი არიან, ღირს ამ რისკად. ღირს, რადგან აქა დგანან და სხვაგვარად არ ძალუძთ!

კონსტანტინე გურგენიძე

P.S. გაზეთ „სახალხო განათლება+”-ის რედაქცია გულითადად ულოცავს მაჭარაშვილების უნიკალურ, ღვაწლმოსილ ოჯახს მასწავლებლის დღეს და ყოველივე სიკეთეს უსურვებს მას იმ საშვილიშვილო სავალზე, რასაც ასე ღირსეულად ადგას.

119-ე ბაგა-ბაღი

აქ, პატარებს მიუხარიათ

აღსაზრდელებისთვის მართლაც, რომ შესანიშნავი გარემოა შექმნილი თბილისის 119-ე ბაგა-ბაღში. ეზო მოწესრიგებულია, გამწვანებული და დამონტაჟებულია საბავშვო ატრაქციონები. ბაგა-ბაღში უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესებიც ზედმიწევნით არის დაცული, ამიტომ მშობლებიც მშვიდად არიან. საბავშვო დაწესებულებას, უკვე 2007 წლიდან წარმატებით ხელმძღვანელობს **მაია ჭოხონელიძე**, რომელიც ერთგულად ემსახურება დაკისრებულ მოვალეობას და თავის გუნდთან ერთად მაღალ შედეგებსაც აღწევს. აქ სულ 6 სააღმზრდელო და ორი გამოსაშვები ჯგუფია. წარმატებით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და ,,სასკოლო მზაობის''პროგრამაც. საბავშვო დაწესებულება ერთ-ერთი მოწინავეა დისციპლინისა და მეთოდური განათლების მხრივ.

ბაგა-ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის, უდიდესია აღმზრდელების როლი, რომლებიც თავიანთ თანაშემწეებთან ერთად მუხლჩაუხრელად ზრუნავენ ბავშვების აღზრდა-განათლებაზე. ბაგა- ბაღში სულ დასაქმებულია 39 თანამშრომელი. ქებას იმსახურებენ პროფესიონალი აღმზრდელები: **ლალი გიორგაძე, მაია დგებუაძე, ირმა გელოვანი, მარი რობაქიძე, თინიკო კვირიკაშვილი, მაია ტარუღიშვილი** და **თამილა ქორაია**; ასევე, აღმზრდელის თანაშემწეები: **ეთერ ანთიძე, მანანა გულაშვილი, თამუნა ბოსტოღანაშვილი, ინგა ელიზბარაშვილი, სოფიო ტატანაშვილი, მარინე ბაშალეიშვილი** და **ხათუნა კაკურია**. ბაღში საგანმანათლებლო პროგრამებს ხელმძღვანელობს კოორდინატორი, **მანანა ჯალიაშვილი**, რომელიც აღმზრდელებთან ერთა კურირებს სასწავლო პროცესს. დირექტორი მადლიერებას გამოხატავს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მხარდაჭერით და მხარში დგომით.

მაია ჭოხონელიძე: ახალ სასწავლო წელს, ჩვენს აღსაზრდელებს შესანიშნავი გარემო დავახვედრეთ. სიახლეა ის, რომ საბავშვო დაწესებულებებში

დაინერგა HACCP (ჰასპის პროგრამა). სააგენტოს თანადგომით და დახმარებით დიდ შედეგებს მივაღწიეთ და ბავშვებისათვის უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო შეიქმნა. ბაღი აღჭურვილია საგანმანათლებლო მეთოდური სახელმძღვანელოებით და ყველა საჭირო ინვენტარით. კმაყოფილი ვარ ჩემი კოლექტივის მუშაობით, რომლებიც დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ პატარებს. ამჟამად, როგორც ყველა ბაგა-ბაღებში, ჩვენც გავდივართ ავტორიზაციის პროცესს, უკვე შევავსეთ თვითშეფასების კითხვარები და ველოდებით შემდეგ ეტაპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 119-ე ბაგა- ბაღის შენობა 1905 წელს აშენდა და იგი სრულ რეაბილიტაციას მოითხოვს. სააგენტოს დახმარებით უკვე მომზადდა შენობის ახალი პროექტი დაშენების და რეკონსტრუქციის გათვალისწინებით. დედაქალაქის მერიისგანაც მივიღეთ მშენებლობის ნებართვა და ველოდებით აღნიშნული პროექტის განხორციელებას. იმედია, სამომავლოდ გვექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღი. ბაღში თვითშეფასების კითხვარზე მუშაობდნენ საქმისმწარმოებლები **მზია გოგოინაშვილი, სალომე ღონღაძე** და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **მანანა ჯალიაშვილი.**

ბაგა-ბაღში სისტემატურად იმართება სეზონური ზეიმები, სხვადასხვა აქტივობა და შემოქმედებითი ღონისძიება. დიდი ყურადღება ექცევა პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იმართება შემეცნებითი მეცადინეობები. სულ ახლახანს გაიმართა შემოდგომის გაცილების ღონისძიება, სადაც პატარებმა ძალიან იხალისეს, ჩურჩხელებიც ამოავლეს და საშემოდგომო ნობათიც დააგემოვნეს.

მზია გოგოძე

165-ე სკოლა

პოზიციებს არ დათმობენ

ეს სკოლა მუდამ მოწინავე იყო. ახალმა მინისტრმა და ახალმა ვითარებამ ახალი მოთხოვნები შემოგვთავაზა. დარწმუნებული ვარ, ამ ამოცანებს პირნათლად შეასრულებენ. ამისი პირობა ისაა, რომ სკოლას ძლიერი დირექცია უძღვება, ასევე ძლიერი პედაგოგიური კადრები ამშვენებს. დირექტორი - **მაია ჯაბაური** უაღრესად გამოცდილი პედაგოგი და მართვის ორგანიზატორია. მას მხარს უმშვენებს ასევე გამოცდილი და ენთუზიასტი მოადგილე - **ხათუნა იოსელიანი.** პედაგოგიური კადრები? ამაზე სკოლიდან მიღებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე მოგახსენებთ.

მომზადებული შევხვდით ახალ სასწავლო წელს ყველა მიმართულებით. სამი პირველი კლასი გაიხსნა. პირველკლასელთა დამრიგებლები არიან: **ირმა ლევერაშვილი, თეა ავალიანი, ნათია ცქიტიშვილი.**

კარიერული წინსვლის კუთხით თავი ისახელეს მენტორმა: **ნანა ნადირაძემ, ნინო სეხნიაშვილმა.**

წამყვანი გახდნენ: **მაყვალა ალიაშვილი, მანანა ლომაძე, მაია წოწონავა**.

გასულ სასწავლო წელს გამოვუშვით 3 ვერცხლის და 10 ოქროს მედალოსანი. აგრეთვე მაღალი იყო მოსწავლეთა შემეცნებითი და შემოქმედებითი ჩართულობა-აქტივობები. ჩატარდა ბევრი ღონისძიება, კონკურსი, ექსკურსია, შეხვედრები და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს მიმართული იყო სწავლა-აღზრდის მაღალი ხარისხისთვის, საფუძვლიანი განათლების მისაღებად.

გალაკტიონი ამბობდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველიო”

დირექციას ამ ძუნწი ინფორმაციის მეტი ვერ გამოვტყუე, იმდენად არ უყვართ ქება. სიტყვას საქმე ურჩევნიათ.

მაგრამ ასე არ არის. ბევრია გაკეთებული. ამის შესახებ, თუ სურვილი ექნებათ, სასწავლო წლის მსვლელობის დროს ვისაუბრებთ.

ასევე ბევრია გაკეთებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

მასწავლებლის დღეს გილოცავთ, კოლეგებო! ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ!

რედაქტორი

და სხვა რაღაა ბედნიერება?!

უსასყიდლოდ მიეცა და უსასყიდლოდ გასცემს

პლატონის 4 სათნოებიდან, რასაც მართლმადიდებლობა იზიარებს, ერთი სიბრძნეა. ცხადია, სიბრძნის, ანუ სწავლის დაუოკებელი სურვილი, ცოდნისკენ სწრაფვა იგულისხმება. ამას კი, თვინიერ სურვილისა, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანია, გალაკტიონისა არ იყოს - ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო, სწორედ ნიჭიერება სჭირდება. ნიჭს კი უფალი მომადლის ძე ხორციელს და რაოდენ უხვადაც დააბერტყავს კალთას თვისსას, რაოდენი ნიჭითაც მადლყოფს, იმდენადვე ავალდებულებს, ეს წყალობა ქვეყანას, ხალხს მოახმაროს სახარებისეული უსასყიდლოდ მოგეცა და უსასყიდლოდ გაცემდეთოს შესატყვისად.

რაოდენ დააბერტყა უფალმა კალთა თვისი თბილისის 89-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მიმოზა ტყებუჩავას, რაოდენ ეძიებდა იგი სიბრძნეს ამ მადლის წილ და რაოდენ გასცემდა უსასყიდლოდ უსასყიდლოდვე ბოძებულს?!

მივყვეთ და ვნახოთ.

არის:

- **განათლების მეცნიერებათა დოქტორი;**
- **მათემატიკის მენტორ-მასწავლებელი;**
- **ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი (მათემატიკის) ექსპერტი;**
- **განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;**
- **ტრენერი ზოგადი განათლების მიმართულებით;**
- **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი;**
- **ახალი უმაღლესი სასწავლებელი. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;**
- **შპს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; სწავლების ზოგადი მეთოდიკის მიმართულებით საბაზო/საშუალო საფეხურების მათემატიკის მასწავლებლების მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.**

მაშ, უღვაწია, სიბრძნის საძიებლად. უღვაწია და მერე როგორ! ახლა ისიც ვნახოთ, რა და როგორ გაუცია უსასყიდლოდ და საამისოდ მისი ღვაწლის პირუთვნელი შემფასებლები მოვიხმოთ.

***

8 წელია მიმოზა ტყებუჩავა 89-ე საჯარო სკოლის დირექტორი და მათემატიკის მასწავლებელი გახლავთ. მას მასწავლებლად მუშაობის 23-წლიანი გამოცდილება აქვს. 89-ე საჯარო სკოლაში მოღვაწეობის პერიოდში ქალბატონმა მიმოზამ შექმნა ჯანსაღი სასწავლო გარემო; იგი ზრუნავდა და ზრუნავს ყოველი პედაგოგის მოტივაციის ამაღლებასა და საგნობრივი კომპეტენციების დადასტურებაზე, შექმნა პროფესიული განვითარების სქემა; მისი თაოსნობით, 89-ე საჯარო სკოლა აქტიურად ჩაერთო ახალი სკოლის მოდელში. ქალბატონი მიმოზა მხარში უდგას ყოველ პედაგოგს, როგორც ტრენერი. იგი ინიციატორია მრავალგვარი აქტივობის დაგეგმვისა (სამუშო შეხვედრები, სამოდელო გაკვეთილები, საჭიროების კვლევა, ურთიერთდასწრება). არის 20 სამეცნიერო სტატიის ავტორი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული – 8 საერთაშორისო და 4 ადგილობრივ კონფერენციაში და სხვებს უზიარებს საკუთარი პრაქტიკაში დანერგილ სიახლეებს, ანვდის რეკომენდაციებს.

იგი ზრუნავს ახალი კადრების პროფესიულ განვითარებაზე, მათ ინტეგრირებაზე სასკოლო საზოგადოებაში; აქტიურად თანამშრომლობს სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

დირექტორი ზრუნავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში და ორიენტირებულია მათ მაღალ აკადემიურ მიღწევებზე. მისი დახმარებით, მოსწავლეები წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს და მონაწილეობენ ბევრ მნიშვნელოვან პროექტში.

ამიტომ აირჩეს იგი მეორე ვადით დირექტორად.

ქალბატონო მიმოზა, 89-ე საჯარო სკოლის პედაგოგთა კოლექტივი გილოცავთ დირექტორად მეორე ვადით არჩევას. მადლობას გიხდით, შესანიშნავად შესრულებული სამუშაოსთვის, თქვენ შექმენით საოცარი გუნდი უდიდესი პოტენციალით. გილოცავთ თქვენ და ჩვენს გუნდს მასწავლებლის დღეს და გვჯერა, რომ თქვენი მხარში დგომით და ძალისხმევით კიდევ მრავალ წარმატებას მივაღწევთ.

89-ე საჯარო სკოლის პედაგოგები

***

მიხარია, რომ სკოლას, რომელშიც უკვე 36 წელია ვმუშაობ, ისევ მიმოზა ტყებუჩავა უხელმძღვანელებს; ქალბატონი, რომელიც ერთნაირ სითბოს გასცემს კოლექტივის ყველა წევრის მიმართ ახალგაზრდა იქნება ეს თუ „ძველგაზრდა".

მინდა მივულოცო და წარმატებები ვუსურვო ჩემს ძვირფას ქალბატონს მის მრავალმხრივ საქმიანობაში.

ლაურა ტიღაშვილი,

89-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციის წევრი

***

ქალბატონი მიმოზა გამოირჩევა საქმის ერთგულებითა და კეთილსინდისიერებით. მას, პროფესიულ ცოდნასთან ერთად, ჯგუფის მართვის, აუდიტორიის ყურადღების მობილიზებისა და შენარჩუნების, ჯგუფში საჭირო ემოციური განწყობისა და სასწავლო მოტივაციის შექმნის უნარი შესწევს.

წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი მისი სატრენინგო ჯგუფის წევრი. სწორედ მისი წარდგენით გავხდი მასწავლებელთა აღიარების რეგიონალურ კონკურსში გამარჯვებული და მომენიჭა დაწყებით საფეხურზე კითხვის საუკეთესო მასწავლებლის წოდება კახეთის რეგიონში.

ვულოცავ ქალბატონ მიმოზას წარმატებას და მასწავლებლის დღეს. ვუსურვებ ულევ წარმატებას სკოლის გუნდთან ერთად.

მარეხ დიდებაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მენტორ მასწავლებელი

***

მინდა ეს გამარჯვება მივულოცო ქალბატონ მიმოზას, რადგან კიდევ დიდხანს შეძლებს სკოლის სამართლიანად მართვა-გამგეობასა და კეთილდღეობას! პატივი მერგო გამეცნო და მასთან ერთად მეკეთებინა საქმე! პირადად ჩემთვის, როგორც მოსწავლისთვის, ოქროს ზღვარი უჭირავს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში. პედაგოგია, რომელმაც ზუსტად იცის, თუ რა სურს მის მოსწავლეს, როგორ მიუდგეს მას და როგორ დაეხმაროს რთულ პერიოდში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გარდა დირექტორისა და მასწავლებლისა, უდაოდ, ჩემი დიდი მეგობარია!

მარიამ ისიანი,

მე-11ა კლასის მოსწავლე, სკოლის თვითმმართველობის წევრი

***

მიმოზა მასწავლებელი ყველასთვის მისაბაძია. შეუძლებელია მის გვერდით თავს არაკომფორტულად გრძნობდე. ენერგეტიკა და ემოცია, რასაც ის ასხივებს, გადამდებია. იგი ყოველთვის მხარში გვიდგას და გვამხნევებს. ცდილობს, თითოეულ მოსწავლეს ფსიქოლოგიურად და ინდივიდუალურად მიუდგეს. ვფიქრობ, ესაა მიზეზი იმისა, თუ რატომ გვიგებს ყველაზე კარგად! ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ჩვენი საყვარელი ადამიანი ისევ ჩვენს გვერდით იქნება!

მარიამ ოთარაშვილი,

მე- 9 ბ კლასის მოსწავლე, სკოლის თვითმმართველობის წევრი

***

ძალიან გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ მიმოზა მასწავლებელი ისევ ჩვენი დირექტორი იქნებოდა. პირადად ჩემთვის, ის მისაბაძი პიროვნებაა. გამოირჩევა მოსწავლეებთან თავისი დამოკიდებულებით. ნებისმიერი მოსწავლისთვის ის მასწავლებელსა და დირექტორზე მეტია. ბედნიერი ვარ იმით, რომ ის ისევ ჩვენთანაა. ქალბატონი მიმოზა შეუდარებელი ადამიანია და მიხარია მისი კიდევ ერთი წარმატება!

ელენე ჩინჩალაძე,

მე-9ბ კლასის მოსწავლე, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი

***

ჩემი აზრით, მთავარია ურიერთგაგება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მიმოზა მასწავლებელი თითოეულ ბავშვს უდგება, როგორც ცალკე ინდივიდს. თუკი რაიმე პრობლემა გვაქვს, მუდამ მზადაა ჩვენს დასახმარებლად ისე, რომ ჩვენი უფლებები არ შეიზღუდოს.

ნია ურუმაშვილი,

მე-9გ კლასის მოსწავლე, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი

***

ძალიან მიყვარს მიმოზა მასწავლებელი. მან შემაყვარა მათემატიკა. როდესაც რამეს ვერ ვიგებ, მიხსნის იქამდე, სანამ ჩემთვის გასაგები გახდება.

გაბრიელ ქარუმიძე,

მე-9გ კლასის მოსწავლე, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი

***

ქალბატონი მიმოზას გამოზრდილმა და მის ხელში გამოწრთობილმა, თამამად შემიძლია ყველაზე ობიექტურად შევაფასო და მივცე თავს უფლება, ვთქვა მის პროფესიონალიზმზე. მისი დამოკიდებულება ბავშვებისადმი, საგნის უბადლო ცოდნა, იყო ის გარდამტეხი ფაქტორი, რომელმაც მისი საგანი, მათემატიკა, შემაყვარა. ახსნის მარტივი სტილი, პრაქტიკული გაკვეთილები, სადაც ვცდილობდით ნებისმიერი მაგალითი ცხოვრებაში გადმოგვეტანა, უფრო მიადვილებდა მათემატიკის გაგებას და რა არის სხვა საჭირო სკოლის მოსწავლისთვის, რათა საგანი შეიყვაროს?! ყოველთვის ჩვენს ცოდნაზე იყო კონცენტრირებული და ჩვენც მოგვინოდებდა მხოლოდ ნიშნისთვის არ გვეშრომა, გვეშრომა ცოდნისთვის. ამ გაკვეთილებმა მომცა უნარ-ჩვევები, რომლებსაც დღესაც წარმატებით ვიყენებ სამსახურსა და რეალურ ცხოვრებაში.

თემო ფაშალიშვილი,

89-ე საჯარო სკოლის კურსდამავრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

***

ჩვენი შეხვედრა 2020 წლის მაისში შედგა. შიშით შევედი ჩვენს ქალბატონ მიმოზასთან, ვინაიდან პირველ კლასში ვარეგისტრირებდი ძალიან მძიმე შშმ პირს, რომელიც ვერც დადიოდა, ვერც მეტყველებდა და ჰქონდა გონებრივი ჩამორჩენა. ჩვენმა შეხვედრამ ძალიან ბევრი რამ მასწავლა ცხოვრებაში. მისი სიტყვები ჩემნაირი მშობლისთვის ძალიან იმედისმომცემი იყო: ,,ვეცდები ყველანაირად დაგეხმაროთ". ეს არ ყოფილა ლიტონი სიტყვები.დღეს ჩემი ბიჭი მესამე კლასშია. საოცარი მასწავლებელი ჰყავს და ჩვენი დირექტორი რომ არ ყოფილიყო, ბევრს ერთად ვერ შევძლებდით. ყველანაირად გვერდში გვიდგას, გაითვალისწინა ყველა ჩვენი თხოვნა.

რუზანა აკოფიანი,

მშობელი

***

ქალბატონი მიმოზა ჩემი შვილის მათემატიკის მასწავლებელია. მივიჩნევ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგია. ის გამოირჩევა ბავშვებთან მიდგომის განსაკუთრებული უნარით, მაქსიმალურად ცდილობს, თითოეულ ყმაწვილს უნარების გამოვლენის მაქსიმალური შესაძლებლობები მისცეს.

გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობითა და სკოლის მართვის ძლიერი უნარით. ეს კარგად გამოჩნდა პანდემიის პერიოდში. ფორსმაჟორულ სიტუაციაში მან შეძლო პროცესების უმტკივნეულოდ მართვა და მაქსიმუმი გააკე-

გაგრძელება მე-8 გვ.

დიადემა სიცოცხლის უკვდავებისა, ღირსეული ნაბიჯებით გავლილი

გელა გეგუჩაძის ხსოვნას



...„არასოდეს დაიკარგება სიტყვა, რომელსაც ხალხში მრავალნი იმეორებენ და ჭეშმარიტად დიდია ადამიანი , რომელმაც შეძლო თავისი დროის დაპატრონება" - ეს ჰესიოდეს სიტყვებია, ანტიკური ხანის პოეტის, პოეტების პატრიარქს რომ უწოდებდნენ ....

მაგრამ მე, ერთ დიდებულ პოეტზე მინდა დავწერო, იგივე, იმ ღირსეულ ადამიანზე და შემოქმედზე, რომლის ამქვეყნად არშესრულებული 65 წელიც აღინიშნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოითის საჯარო სკოლაში.

გელა გეგუჩაძე... გურულების სიამაყე, ადამიანი დიადი ბრწყინვალებით, ღირსეული პედაგოგი, პატივსაცემი მოღვაწე და არა მარტო გურიის, არამედ საქართველოს საამაყო შვილი, სიტყვის ბოჰემა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, გამოიცა მისი ლექსების მესამე ტომი, გამომცემლობა „პოეზიელის" მიერ, რედაქტორი - **გერმანე საზანოელი.**

მეგობრებმა და მისი მშობლიური სკოლის კოლექტივმა ეს დიდებული დღე ღონისძიებით აღნიშნა, სადაც ტკივილიანი და სიყვარულის ცრემლებით აღვსილი სიტყვებით გამოვიდნენ მისი პედაგოგები, კოლეგები, მეგობრები **დიმიტრი ბერიძე** და **რეზო კეკუ-ლაძე, ავთანდილ ჩხაიძე** და სხვ.

პოეტის ლექსები წაიკითხეს სკოლის მოსწავლეებმა და მის გულში ამოგვირისტებული ნაბწკარები, გულიდან აფანცქალებული სიყვარულით გადმოაფრქვიეს.

მის შესახებ, დიადი მადლიერების პატივისცემით ისაუბრა **თემურ ფირცხალაიშვილის** სახლ-მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა **დარეჯან ბიწაძემ**. მუსიკალური ხმატკბილობით, გიტარაზე დამღერებით, სიმღერები შეასრულა საქართველოდან ემიგრაციაში წასული, ნოე ჟორდანიასთან თანმხლები ქართველი ემიგრანტის შთამომავალმა, ფრანგმა - ქართველმა, ბატონმა **ლორენსმა (ლავრენტი ჩხაიძემ)** და, რაც ყველაზე საამაყო, პატივი იყო პოეტისადმი, ეს თბილისიდან მოწვეული სტუმრები, თბილისის მწერალთა კავშირის წევრები გახლდნენ. იმერეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი **გერმანე საზანოელი**, გამომცემლობა „ზენაარის" დირექტორი, გაზეთ „სახალხო განათლება+"-ს სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალისტი ბ-ნი **ზურაბ ქობალია,** პოეტები: **პაპუნა ქვარიანი, ნუკრი ლობჯანიძე,** ქალბატონები: პოეტები **- ხათუნა ცომაია** და **დეზი ემანულიძე**, რომლებმაც ისაუბრეს ბ-ნი **გელა გეგუჩაძის** შემოქმედებასა და დიად ადამიანობაზე, მისი შემოქმედების საარაკო დიდებულებაზე, წაიკითხეს მისი ლექსები და პატივი მიაგეს მის ხსოვნას .

ყველაზე დიდი სათნოების პატივისცემა კი, მეუღლის, ქ-ნი **ფოთოლა კანდელაკის** გამოსვლა იყო, რომელიც ღირსეულად ატარებს მეუღლეობის ბრწყინვალებას და მუდამ პატივისცემით დგას გარდაცვლილი პოეტის სულის სადიადოდ მისი სიცოცხლის უკვდავსაყოფად .

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ამ დიდებული ადამიანის სახელის უკვდავებას ნათელი მოჰფინა, პატივისცემა მიაგო მის სულს ზეციურ სამოთხეში და განადიდა იგი ამქვეყნიურ მინიერეთში,

განსაკუთრებული მადლობა სკოლის დირექტორს , ბატონ **ემზარ ჩიჩუას** დიდებული ღონისძიების ჩატარებისა და ქართული სუფრის ღირსეული თამადობისთვის , დიადი ნათელი ჰქონდეს ბატონ **გელა გეგუჩაძეს** ზეციურ საუფლოში და მარადი გვირგვინი მის დიდებულ შემოქმედებას ამქვეყნიურ სამყაროში.

დეზი ემანულიძე

და სხვა რაღაა ბედნიერება?!

უსასყიდლოდ მიეცა და უსასყიდლოდ გასცემს

მეშვიდე გვერდიდან

თა, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ჰქონოდათ უსაფრთხო სამუშაო გარემო.

ქალბატონი მიმოზა ყოველთვის მზად არის გამოწვევებისთვის, ეფექტური ლიდერია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენს სკოლას ცამეტი წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებელი და მენტორი ჰყავს.

როგორც სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, სამუშაო პროცესში თვალნათლივ დავინახე, როგორ აყალიბებს დირექტორი ძლიერ კავშირს პედაგოგებს, მოსწავლეებსა და საკუთარ თავს შორის. ის ქმნის სიახლოვეს საერთო მიზნების მისაღწევად. სკოლა ხომ ცოცხალი ორგანიზმია, თითოეული წევრი კი მისი მამოძრავებელი ძალაა.

თამთა ხოდელი.
მშობელი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

***

მე, მშობელმა და სამეურვეო საბჭოს წევრმა, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ქალბატონ მიმოზა ტყებუჩავაზე. იგი ასწავლის ჩემს შვილს მათემატიკას და უნდა აღვნიშნო, რომ ის არის, უპირველესად, საუკეთესო პიროვნება, ბავშვებთან უმუალო და კომუნიკაბელური. გამოირჩევა პროფესიონალიზმით. არ მეგულება მოსწავლე, რომელიც მის მიმართ დადებითად არ იყოს განწყობილი. მან მიზნად დაისახა სკოლის რეფორმების სწორად განხორციელება. წარმოგვიდგინა სამომავლო სამუშაო გეგმა, რომელიც ძალიან მოგვეწონა. ყოველივე ამის შედეგია, რომ კიდევ ერთხელ აირჩიეს დირექტორად.

ირმა ხუციშვილი.
მშობელი, სამეურვეო საბჭოს წევრი

***

სსიპ ქალაქ თბილისის 89-ე საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭომ დირექტორად ერთხმად აირჩია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი კანდიდატი მიმოზა ტყებუჩავა. ვულოცავ ქალბატონ მიმოზა ტყებუჩავას, როგორც არაჩვეულებრივ ადამიანს, ქალობისა და დედობის ეტალონს, ერთგულ, გულისხმიერ, კეთილშობილ, მეგობრულ, უშუალო, ნიჭიერ და შეუდარებელ ხელმძღვანელს! საუკეთესოთა შორის საუკეთესო დირექტორს! დიდი სიყვარულით და პატივისცემით, უამრავი ლამაზი სურვილით გისურვებთ წარმატებულ და ნაყოფიერ საქმიანობას! იცით, როდის სწვდება დედა მეცხრე ცას? შვილის წარმატება გულს რომ გაუხარებს! როცა შეუქებენ მის შვილს ქართველობას, წლობით ნაწვალებს რომ შვილი დაუფასებს! სწორედ თქვენმა გაზრდილმა, უკეთილშობილესმა და უნიჭიერესმა შვილებმა, მე-12ა კლასის მოსწავლეებმა, ეროვნულ გამოცდებზე თქვენმა აღზრდილმა მოსწავლეებმა დაგიფასათ თქვენი თავდადებული ამაგი, დაგიფასათ და უპრეცედენტო წარმატებებით , გრანტებით დაგასაჩუქრათ, გაგახარათ, აგაფრინათ მეცხრე ცაზე და ამით გამოხატეს თქვენდამი უსაზღვრო მადლიერება! უდიდესი და უნაზესი სიყვარული, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა თქვენი შეუდარებელი შრომა და მზრუნველობა!

თიკო ჯოგლიძე.
89-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის მშობელი

***

ქალბატონო მიმოზა, ჩემი მილოცვა მინდა დავიწყო ჩემი თქვენდამი უდიდესი პატივისცემის დადასტურებით და, ამასთან, გავიხსენო რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი ჩვენი თანამშრომლობიდან. მახსოვს პირველი შეხვედრა თქვენთან – მრავალ გასაუბრებაზე მყოფი, 89-ე სკოლაში, თითქმის უიმედოდ მივედი. თუმცა დირექტორი ფეხზე წამომდგარი, გაღიმებული შემხვდით, პოზიტიური გარემო შექმენით საუბრისთვის და ეს იყო დიდი შთაბეჭდილება თქვენი პიროვნების მიმართ. პოზიტიურ გარემოს პოზიტიური საუბარიც მოჰყვა, მახსოვს თქვენი გაღიმებული მოლოცვა – გილოცავთ, გიორგი, თქვენ 89-ე საჯარო სკოლის საუკეთესო გუნდს შემოუერთდით, გისურვებთ წარმატებებს და ხვალიდან გელოდებითო!

მიიღეთ ჩემი გულწრფელი მილოცვა დირექტორად არჩევის გამო. გისურვებთ დიდ წარმატებებსა და აუცილებელ გამაჯვებებს.

უდიდესი პატივისცემითა და მადლიერებით,

გიორგი კაცია.
89-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი

***

2020 წელს, 30 წლის ასაკში მესამე უმაღლესში ჩავაბარე... ბევრი ვერ მიგებდა რატომ, რა დროს ახალი პროფესიის შეძენა იყო, როცა უკვე მაგისტრის ხარისხიც მქონდა, სამსახურიც და ორ ვაჟკაცს ვზრდიდი... თუმცა ვიცოდი, რომ ბავშვობის ოცნებას ფრთა შეესხმებოდა... ასე აღმოვჩნდი სრულიად ჯადოსნურ სამყაროში - თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე... ცხრილში ჩავიხედე, და აქაც მათემატიკა?! ყოველთვის მეეჭვეებოდა, მაგრამ მაინც უფრო ჰუმანიტარული ბუნების ვარ... მეცადინეობა "ონლაინ" დავიწყეთ და პირველივე ლექცია-სემინარზე აღმოვაჩინე და გავიცანი საოცარი ადამიანი, ქალბატონი მიმოზა ტყებუჩავა, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ჩემი ამბავი, შემიქო გადაწყვეტილება და მალევე აღმოვაჩინე და გავვოცდი, რომ წინა ორი ლექტორისგან განსხვავებით, მისი ახსნილი სტატისტიკა მესმოდა... ის იმხელა მხარდაჭერას მაგრძნობინებდა მთელი წლის მანძილზე, იმდენად მამაგრებდა ფსიქოლოგიურად, მართლა მის დამსახურებად მივიჩნევ იმას, რომ მეორე სემესტრში პოსტ-კოვიდურ პერიოდში, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური გართულებების დროს, ქალბატონი მიმოზა იყო ის ერთადერთი ლექტორი (ხომ საოცარია მათემატიკოსი და არა ფსიქოლოგი), რომელმაც თავისი მაღალზნეობრივი ბუნებით, უშუალობითა და ადამიანობით გამაოცა – ნუ გეშინიაო, მითხრა, შემიქმნა მოტივაცია, პატარა ბავშვივით ჩამჭიდა ხელი და ფსიქოლოგიურ პრობლემებში დაკარგული დამაბრუნა ისევ ჩემს საოცნებო პროფესიაში... ვერასდროს გადაგიხდით სათანადო მადლობას იმ სიკეთისთვის, ჩემო ძვირფასო პედაგოგო, თქვენ მაჩუქეთ ჩემი ბავშვობის ოცნების ახდენის შესაძლებლობა, მომეცით საგნის სიღრმისეული ცოდნა და, რაც ყველაზე მთავარია, მომეცით ადამიანობის მაგალითი - როგორი მინდა ვიყო მე, წაქცეული ავაყენო, გზა ვუჩვენო და ჩემი დალოცვა გავაყოლო.... მიყვარხართ! მადლობას გიხდით ყველაფრისთვის და გილოცავთ დირექტორად მეორე ვადით არჩევას!

ბარბარე თაყაიშვილი.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

***

აი, ასე გასცემს ქალბატონი მიმოზა ტყებუჩავა უსასყიდლოდ ბოძებულს. ალექსანდრიის უღვთოდ გადამწვარი ბიბლიოთეკაც ვერ დაიტევდა ტომებს, რა გინდა რა ჯურისა და მიმართულების ფილოსოფოსებმა რომ უძღვნეს ადამიანის დანიშნულების, მისი მორალურ-ზნეობრივი კრედოს ძიებას და რაც მაცხოვარმა ერთადერთი წინადადებით გამოხატა, ნუ ინდომებ სხვისთვის იმას, რასაც საკუთარი თავისთვის არ ინდომებო. ქალბატონმა მიმოზამ იმდენი ინდომა სხვებისთვის, იმდენი სიკეთე თესა, იმდენი გასცა, რომ ასეთ მადლიერებად შემოუბრუნდა.

და სხვა რაღაა ბედნიერება?!

კონსტანტინე გურგენიძე

p.s. გაზეთ „სახალხო განათლება+"-ის რედაქცია უერთდება იმ გულითად მილოცვებს და ასევე გულითადად ულოცავს ქალბატონ მიმოზას დირექტორად მეორე ვადით არჩევას, მასწავლებლის დღეს და მრავალ წარმატებას უსურვებს.

ისმინე და შეისმინე

ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერია (მისსა და მისი ოჯახის დიდ დამსახურებაზე საქართველოს პროფესიული განათლების განვითარებაში გაზეთის ამ ნომრის მე-5 გვერდზე წაიკითხავთ). ამის დასტური ბატონ ანზორ მაჭარაშვილის ეს მახვილგონივრული, ჭკუისსასწავლებელი სტროფებია. მკითხველს ემახსოვრება ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული მისი მოქალაქეობრივი პათოსით აღსავსე, კეთილად განწყობილი ლექსები. ამჯერად ბატონი ანზორის შემოქმედების ამ ნიმუშებს გთავაზობთ და, იმედია, მომავალში უფრო სრულად წარმოვაჩენთ მის მრავალმხრივ შემოქმედებას.

ანზორ მაჭარაშვილი

შევქნათ ისეთი გარემო,
საზრდო რომ გვქონდეს სამყოფი,
გავაკონტროლოთ ბუნება,
მას გამოვტაცოთ ნაყოფი.

ბუნებისაგან ნაბოძებს შორის,
აზროვნებაა დიდი ღირსება,
ბედნიერია ვისაც გამოსდის,
მისი გონებით საქმის კეთება.

თუ კი დიდი ქონებისგან,
არ გავაქვს კარგი ცხოვრება,
მაშინ უნდა გავზარდოთ,
ცოდნით ჩვენი გონება.

უნდა გვინდოდეს გავხდეთ ქებული,
არავინ იყოს ჩვენი ბადალი,
რომ ინტერესი გვამოძრავებდეს,
და შემართება გვქონდეს მაღალი.

ფარულად ნუ ვიმოქმედებთ,
გარემო შევქნათ ნათელი,
სიმრთლეს ფარდა ავხადოთ,
ბნელში ავანთოთ სანთელი!

საით წავიდეთ წინა კაცს ვკითხოთ,
ვინც ცხოვრებაში ბევრი იარა,
საკურნებელსაც ის გვეტყვის უფრო,
რით მოვირჩინოთ ჩვენი იარა.

ადამიანი გაჩნდა შრომისთვის,
მისი ვალია მუდმივი გარჯა,
უნდა ვეცადოთ, რომ არ მოვდუნდეთ
და ენერგიის ვისწავლოთ ხარჯვა.

ერთობა გვიჯობს თითოკაცობას,
და შენაერთებს უნდა გაძღოლა,
ფუტკრის ოჯახი უდედოთ ქრება,
უმხედარმთავროდ ჯარს უჭირს ბრძოლა.

როცა წინ ვიწევთ უნდა ვიცოდეთ,
გზა წარმატების ზოგჯერ გრძელია,
მთის ფერდობები ციცაბო არის,
მწვერვალზე ასვლა სწრაფად ძნელია!

მივდივართ, მაგრამ უცებ შევფერხდით,
დაბრკოლებების გაჩნდა კედელი,
თუ ვერ გავანგრევთ თავს ნუ მოვიკლავთ,
სხვა გზა მოვძებნოთ წინ წასასვლელი.

უნდა ვეცადოთ შევიცნოთ თავი,
ცოდნის, უნარის გვქონდეს საზომი,
განვსაზღვროთ დონე შესაძლებლობის,
და გავარკვიოთ სად გვაქვს სადგომი.

კიბეებსა გავს ცხოვრება ჩვენი,
მაღლა ავდივართ ხან ძირს ვეშვებით,
სჯობს მწვერვალები თვითონ დავიპყროთ,
და ნუ ვეცდებით წინსვლას შველებით.

არ გვაქვს ქონება, მაგრამ გვინდა გვცეთ სიკეთე,
და გაჭირვებულს მივაწოდოთ სულის მალამო,
ვცადოთ ალერსით გავუყუჩოთ მისი ტკივილი.
რადგან სიტყვითაც შეიძლება სნეულს აამო.

აზროვნებაში უნდა ვიყოთ თავისუფალი,
სხვისი მოთხოვნით იდეები ნაკლებად მოდის,
შემოფარგლულში არ ჩავკეთოთ ჩვენი გონება,
ბულბულს გალობა გალიაში აღარ გამოსდის.

ნუ გვეგონება დაგეგმილის შეცვლა ცუდია,
არ არის კარგი სიჯიუტე ყმაწვილკაცური,
ზოგჯერ სჯობს დავთმოთ, საჭიროა უკანდახევაც,
რომ საზიანო ქმედებისგან ვიყოთ დაცული.

ყველა ჩვენთაგანს უნდა ჰქონდეს თავის ადგილი,
და სამოქმედოთ მიცემული მისი ფუნქცია,
ნუ შევეცდებით სხვისი საქმე დავისაკუთროთ,
მითვისებულით წარმატება დროებითია!

უნდა ვიცოდეთ რას რა უნდა, სად რა გვჭირდება,
რომ ჩიტისათვის არ ავაგოთ სპილოს გალია,
უყაირათოთ არ დავხარჯოთ ჩვენი რესურსი,
მომჭირნრობა რომ დავიცვათ ყველას ვალია.

საქმის კეთება გამიზნულად უნდა დავიწყოთ,
რომ მუშაობა ვაწარმოოთ მოგებისათვის,
თუ სარგებელი არ მოჰყვება თავგამოდებას,
მაშინ გვექნება დასაქმება გართობისათვის.

წარმატების მისაღწევად უნდა ვისწავლოთ,
ცოდნის გარეშე ძნელი არის საქმის კეთება,
ოსტატისაგან ავითვისოთ კარგად ხელობა,
რომ არ დაგვჭირდეს საშველებლად ღმერთთან ვედრება.

ნუ მოვინდომებთ დიდკაცობას სხვისი შველებით,
და არ ვეცადოთ ქოლგების ქვეშ თავშეფარება,
რადგან, თუ შევცდით, ვერ გვიშველის ფარისევლობა,
ადვილი არის ყმადქცეულის განადგურება.

უნდა ვეცადოთ გადავლახოთ დაბრკოლებები,
თვითონ გავლიოთ გასავლელი ჩვენგან რჩეული,
და თუ ვიარეთ სხვებთან ერთად გადაჯაჭვული,
რომ დაგვჭირდება შორს ვერ წავალთ მარტოდ ეული.

თუ მას უმართლებს ვინც საქმისთვის ცოტა აკეთა,
და გვაქვს შემთხვევა: წარმატება იღბლის ბრალია,
ნუ გვეგონება რომ ეს ბედი ყველას ხვედრია,
ვიაქტიუროთ და ვიშრომოთ ჩვენი ვალია.

რომ სიბერეში აღარ ვიყოთ უკმაყოფილო,
სიყმაწვილეში მოვაგროვოთ საგანძურები,
უნდა ვიშრომოთ შემართებით, თავგამოდებით,
სიცოცხლის ბოლოს ცოტა დაგვრჩეს სანატრებელი.

ნუ გვეგონება ჩვენს სურვილზე დროს გავატარებთ,
წუთისოფელი როგორც უნდა ისე გვატარებს,
ჩვენი ცხოვრების დროსტარება იმით ფასდება,
თუ კარგი ვქენით და ჩვენი გზით სხვებსაც ვატარებთ.

უნდა ვეცადოთ საქართველო გახდეს ძლიერი,
გაბრწყინებულმა მოიპოვოს ბევრი უფლება,
მყარად შგვეძლოს ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნოდეს,
და ქვეყანაში ზეიმობდეს თავისუფლება.

ხათუნა ცომაია

სველი დარია

რა უსაშველოდ
გაგრძელდა ღამე,
ალიონიც კი
ბინდისფერია.
ვცდილობ მკვდრეთიდან
წამოვდგე დედი,
კვლავ ბავშვად ვიქცე,
როგორც ფერია...

მზერამ გამყიდა,
ნატვრად გადიქცა,
უშრეტ ტკივილმა
ფიქრი არია.
უცოდველობა ვინატრე,
ღმერთო,
ცოდვილ მიწაზე
სველი დარია...

გზის გასაყარზე
ვდგავარ ეული,
ფიქრში მივხვდი,
რომ ფიქრი დიდია,
ნატვრაში ნატვრა
შემობრძანდა და
უდედოდ ყოფნა
მითში მითია...

მდინარე ანგრევს
ნაცნობ ჯებირებს,
კამკამა წყარო
ცრემლმა არია,
ღრმა შორეთიდან
ნაცნობი მზერა
მეღლაბუცება -
ალაგ დარია...

მზერამ გამყიდა,
ნატვრად გადიქცა,
უშრეტ ტკივილმა
ფიქრი არია.
უცოდველობა ვინატრე,
ღმერთო,
ცოდვილ მიწაზე
სველი დარია... ხათო

აკივდა, აკივდა სულში...

უმოწყალოდ მომინდა შენთან,
გვიანლა მივხვდი,
ჩაერაზა ზაფხულს კარები.
შემომიტია ფოთოლცვენამ
ალიონზე და ისევ აცივდა,
გაქრა უცებ კარგი დარები...

წლები გამექცა...
გაილია სვენებ-სვენებით.
მოგონებებში გადვიჩეხე,
მგონი ვხუცდები.
ღმერთო, არ მინდა გეწუწუნო,
დროის ფეთებით ასაკთან ერთად
წლებში ალბათ გადავხუნდები...

წამი წუთს გაჰყვა,
მე შორეთში კვლავ ვიქექები.
- წვიმავ, რას მერჩი,
ქერა დალალს რას ებლანდები,
ნუთუ არ კმარა
დანამული ცისკრის ზარები,
ცის კამარაზე მოარული
უცხო ლანდები?

აცივდა სულში...
უმოწყალოდ მომინდა შენთან,
გვიანლა მივხვდი,
ჩაერაზა ზაფხულს კარები.
შემომიტია ფოთოლცვენამ ალიონზე
და ისევ აცივდა,
გაქრა უცებ კარგი დარები...

მე შენში მიყვარს

მე შენში მიყვარს აკვირტული იასამანი,
ალაგ-ალაგად მოპენტილი ლურჯთვალა ია.
ცის ნამი მნუსხავს ღაწვზე
ნებად დასკუპული და
მწველი თვალების სიმხურვალე
რომ მიტევს ღიად...

მე შენში მხიბლავს
უსასრულო უსასრულობა,
ფანჯრის რაფაზე
დასკუპული ჩიტუნა ჩია.
ლაჟვარდ ღრუბლებში გაელვებად
ცისარტყელა და სადღაც შორეთში
მოფუსფუსე - ნატვრა რომ გქვია...

მე შენში მარტი
მენატრება ენკენისთვეში,
აისთან ერთად დაისი
და მინდორში ია.
ფოთოლცვენაში ალიონზე
სუსხი მნუსხავს და
მწვანე თვალებში ჩაფლობილი
გნატრულობ ღიად...

მე მოგონების მოგონებას
ვეტრფი ყოველდღე,
უსასრულობას ვუწილადე
ღიმილი ჩია.
ძლიერი ქალი სუსტად
წამში გადვიქეცი
და გულს ჩაგაბარებ
სიძლიერეს - კაცი რომ გქვია...

მე შენში მიყვარს
აკვირტული იასამანი,
ალაგ-ალაგად მოპენტილი
ლურჯთვალა ია.
ცის ნამი მნუსხავს
ღაწვზე ნებად დასკუპული
და მწველი თვალების სიმხურვალე
რომ მიტევს ღიად...

ეთერ ჯაფარიძე

მონატრების სევდა

ქარმა მიმაგდო ფოთლების გროვას,
მეეზოვენი დილით დამხვეტენ;
ვერ მოვესწრები მე ზამთრის თოვას,
ხვალ მონატრების ტყვიით დამხვრეტენ.

ჰაერში წვრილად დავიფლითები,
აცრემლდებიან ხმელი ფოთლები;
დაიწერება ჩემზე მითები,
გამაღმერთებენ როცა მოვკვდები.

ამ მონატრებას შენ დაგიტოვებ,
ვეღარ ვისრულებ უმთავრეს სურვილს;
სანამ ბახალა ბუდეს დატოვებს,
მთა მილიონჯერ მოიკლავს წყურვილს.

სანამ ჯერ კიდევ ვფარფატებ წვრილად,
და სასიკეთოდ იშლება კარტი;
აპრილში მოვალ მაისის წვიმად,
რომ დავიტირო ჩავლილი მარტი.

ზაირა ფრუიძე

დამღამებია გზაზე

დამღამებია გზაზე, მზე ჩაკარგულა ზღვაში,
ოცნებაც ჩაიყოლა, ცრემლი ჩამდგარა თვალში...

ბინდმა მოიცვა გზები, შორს ქარი კივის მთებში,
შემოდგომაა ახლა, დაზამთრებულა თმებში...

დამძიმებულა ტვირთი, სული კვნესის და მტკივა,
ღამე კანკალებს ქარში, მეც ღამესავით მცივა.

მოკლე გამხდარა გზები, გზაზე მივდივარ მარტო,
გამთეთრებია თმები, და მიკვირს ,ჯერ ხომ არ თოვს.

ვისვენებ გადაღლილი,დარდს თითისტარზე ვართავ,
მერე შავ-თეთრი ძაფით,მე ჩემს ცხოვრებას ვქარგავ.

ნაქარგს ვამატებ მუქ ფერს,დაკარგულ წლების ცვენას,
და დრო კი მტაცებს ურჩად: იმედს, ოცნებას, რწმენას.

...და ჩემი მზე კი არ ჩანს, თავი დაიხრჩო ზღვაში,
ოცნებაც ჩაიყოლა, ცრემლი ჩამდგარა თვალში.

მადონა ქალდანი

სიტყვების ქურუმს

საგარიჟრაჟო განათდა ნისლი.
ლილეო ისმის, ხმას აღარ იცვლის.

შემოგლახავდა სიტყვები უცხო.
არავის ვუთმობ, ზე ქართულს ვუხმობ.

ქალდეველური გამომყვა ჯინად.
ჩემს სისხლში სძინავს, შუმერულ სვიანს.

წმინდა ტკივილად იქეცი ღამევ!
და ნუ წამართმევ, რასაც ვეწამე.

ურითმო სიტყვით ასხმული იყო.
ეფილტვა სტრიქონს. ბამბუკის ჭიგო.

ზეცას მიწასთან ქორწილი უწევს.
გრძნობები უტევს. დაღვინდა უცებ.

დარდმა რამდენჯერ მოიკლას თავი,
გაფითრდა წამი, უცილო ჟამი.

კოშკების ფესვებს არ უჩანს ბოლო.
სამერცხულები ზაფხულობს მხოლოდ.

მოჟღურტულდება შხარაზე თოვლი.
დრო მოვა ყოვლის, საყდრების მოვლის.

სარკმელი უჩანს დაკეტილ დარანს.
აჟრჟოლებს მავანს, უშტარად მავალს.

უფსკრულის ფერდებს სინათლე ერჩის.
სიტყვების ქურუმს შეუნდობს ღმერთი.

ლიტერატურული გვერდი

იოანე აბულაშვილი-ბებაბუშვილი

შემოდგომის მოსვლა

შემოდგომა მოგვიბრძანდა,
დოვლათით და ბარაქით
მოსავალიც მოგვივიდა
უხვად, დიდი მარაგი.

მივიჩქარით ნაკვეთებში,
ვართ დოვლათის ხანაში,
სიმინდის ტაროებსაც
ხშირად ვარჩევთ ყანაში.

სათლებითა და ტომრებით
ვეზიდებით ტაროებს,
სასიმინდეც, ხომ ავავსეთ,
მოსავალს ველარ იტევს.

ვენახებში რთველი არის,
ბლომად არის ყურძენი,
მისი წურვით საწნახელში,
მიიღება მაჭარი.

გამახსენდა ბავშვობაში,
სკოლა, რომ დავამთავრე,
თან წავედი სოფელში,
ყურძენიც კი დავწურე.

მთელი ჩემი ბავშვობა,
ვიზრდებოდი სოფელში,
ბებია და ბაბუასთან
თექვსმეტი წლით მყოფელი.

გამზრდელების მარჯვენა ხელს
მეძახოდნენ ცხრუკვეთში,
ჩემი სადღეგრძელოებით
ჭიქებს ცლიდნენ მარანში.

ახლობლები, მეზობლები,
ხშირად მაგონდებიან,
ჩემი ბიძა-ბიცოლები,
მუდამ მეხსომებიან.

მეზობელი ბაბუები:
ვახტანგი, არჩილ, რევაზი,
შოთა, დიმიტრი, აკაკი,
მათ ყოველდღე ვხედავდი.

შემოდგომით ჭურებს ვრეცხავთ,
მაჭრის დასაღვინებლად,
ჩვენი დიდი მონდომებით
ღვინის დასაყენებლად.

ვავსებთ ჭურებს არხეინად,
მაჭარითა და ჭაჭით,
გარკვეული დროის შემდეგ
ღვინოს დავლევთ ყანწით.

ხალხის ბაღჩა-ბაღები,
სავსე არის ხეხილით,
ვაშლს, მსხალს და ატამს
ვეზიდებით კალათით.

თხილსაც ვკრეფავთ ბლომად,
კაკლებს ვრეკავთ კეტით,
ხალხი ავსებს ოჯახს,
გამრჯე-მარჯვე ხელით.

ლობიოს გამოცეხვაც,
ამ პერიოდში ხდება,
შემოდგომის საქმეები,
ამ მომენტში მთავრდება.

დაილოცოს შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
თავის შრომის დაფასებით,
გაიხაროს ყველამა.

34-ე ბაგა-ბაღი

კომფორტული გარემო პატარებისთვის

თბილისის 34-ე ბაგა-ბაღი სისუფთავით და წესრიგით გამოირჩევა. აქ ყველაფერი ლამაზი და მომხიბვლელია - ეზო, შიდა ინტერიერი, საბავშვო ოთახები, დარბაზი და სამზარეულო. დირეტორის და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით, საბავშვო დაწესებულება ნამდვილად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. 34-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **ლალი ქემხაძე** მრავალი წელია საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობს. იგი გახლავთ ზუსტ და სამუნებისმეტყველო მეცნიერებათა დორექტორი, წლების განმავლობაში მუშაობდა ბავშვთა ტუბ სანატორიუმ ,,სიხარულში". შემდეგ, 6 წელი იყო 21-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი. ასევე, მონაწილეობდა ბავშვთა გასართობ - გამაჯანსაღებელ-განმავითარებელ პროექტებში. საბავშვო ბაღში განხორციელებულ სამუშაოებზე თავად დირექტორი მოგვითხრობს.

ლალი ქემხაძე: ბაგა-ბაღში სულ 7 ჯგუფია, აქესდან ორი ,,სასკოლო მზაობისაა''. აღსაზრდელებს ახალ სასწავლო წელს, სრულ მზადყოფნაში შევხდით. ზაფხულში ჩავატარეთ ჯგუფების რემონტი, გავალამაზეთ გარემო. ამჯერად, ვემზადებით ავტორიზაციისთვის, რისთვისაც უკვე შევავსეთ თვითშეფასების კითხვარი. ინფრასტრუქტურა მოვაწესრიგეთ და დავნერგეთ HACCP-ის (ჰასპის) სტანდარტები. ბაგა-ბაღების მართვის სააგანტო და მისი ხელმძღვანელობა, მაქსიმალურად გვეხმარება ყველანაირი პრობლემის აღმოფხვრაში და მუდამ ბავშვების სამსახურშია! სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე შევიმუშავეთ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ვცდილობთ მაქსიმალურად ჩავრთოთ მშობლები სასწავლო-საამზრდელო პროცესში. ვხელმძრვანელობთ ახალი კურუკულუმით „თამაში" რაც საშუალებას გავძლევს მაქსიმალურად მოვერგოთ თვითოეული ბავშვის შესაძლებლობებს და ინტერესებს...

ბაგა-ბაღს ემსხურება ძალიან მეგობრული და პროფესიონალებისგან შემდგარი გუნდი. აქ არიან როგორც გამოცდილი ასევე, ახალბედა აღმზრდელები. ესენია: **მანანა კაჭარავა, ქეთევან ჩაკვეტაძე, სოფიო მდივნიშვილი, ნანი მელიქიშვილი, დარინა დუმბაძე, ხათუნა ასპანიძე, ირმა გოდერძიშვილი, ხათუნა ნიკოლაშვილი-სიორიძე, ია დარბიაშვილი, ხათუნა მაისურაძე;** მათ მხარში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **ბელა ბალავაძე, ზანდა ფხალაძე, ნინო უსინაშვილი, მარინა ხანთაძე, სოფიო სარალიძე, პოლინე ჭელიზე, ნანა უდუმაშვილი, თამარ მიკუტიშვილი; ფატი შალამბერიძე, სოფია კაკულია;** ქებას იმსახურებენ ასევე, ფსიქოლოგი: **თამარ ნაზარაშვილი**; სპეც. პედაგოგი **ბარბარე ბაქრაძე;** ლოგოპედი **ია ხელაძე,** მუსიკის პედაგოგი **ელისაბედ ხუროშვილი;**

ბაღის ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაცია: დირექტორის მოადგილე **მარიამ დათუკიშვილი;** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნანა ყურაშვილი**, საქმისმწარმოებელი **თამარ ნოზაძე**. ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნავს ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ველიკო ზუმბულიძე**; ბავშვების გემრიელად გამოკვებაზე ზრუნავენ მზარეული **ნანა პავლიაშვილი**, მზარეულის დამხმარეები: **ნინო ყურაშვილი** და **ნათია ტურაშვილი**.

რაც შეეხება ტექნიკურ პერსონალს, დირექტორის თქმით, ისინი არიან ბაღის უერთგულესი ადამიანები, რომლებიც თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების გარდა, აქტიურად არიან ჩართულნი ბაგა-ბაღის ცხოვრებაში, თავიანთი მონაწილეობით კი, არაერთი ღონისძიება გაულამაზებიათ. ესენი არიან: **ნანა კოპაძე, თამარ კაკაურიძე, ლანა ქარჩავა, ნონა ხელაშვილი, ნონა ლაბაძე, მანანა გოლეთიანი**; ბაგა-ბაღის სადარაჯოზე დგანან **ჯუმბერ ქვათაძე** და **რობერტ აივაზოვი**, რომლებმაც თანამშრომლებისა და ბავშვების პატივისცემაც დაიმსახურეს. ბაგა-ბაღში ყველა წვრილმანის შეკეთებას უზრუნველყოფს **გერონტი ჩაკვეტაძე**, ხოლო ეზოს სისუფთავესა და ბაღის გალამაზებაზე ზრუნავენ მებაღე: **ნუნუ ბენიძე** და მეეზოვე: **დარეჯან ზაროიანი.**

აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებაში, სააღმზრდელო პროგრამის ფარგლებში, აქტიურად ტარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები და აქტივობები, სადაც ჩართულნი არიან არამარტო აღსაზრდელები არამედ, მათი მშობლები, და ბაგა-ბაღის მრავალრიცხოვანი მეგობრები.

დირექტორი და მთელი შემოქმედებითი გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აღსაზრდელებს ბედნიერი დღეები აჩუქონ და მათთვის ბაღში გატარებული წლები სასიამოვნო მოგონებად დარჩეთ.

ანანო სამელია

არდავიწყება

ამაგდარი

გრიგოლ (გარუნ) აკოფოვის დაბადების 100 წლისთავის იუბილე

არიან ადამიანები, აქეთიქით რომ აწყდებიან, ვერა და ვერ გაუცნობიერებიათ, რისთვის მოავლინა ამქვეყნად მამაზეციერმა. ზოგი, ბოლოსდაბოლოს, დაადგება ხოლმე სათავისო სავალს, მავანნი კი სიცოცხლის ბოლომდე ან ეძებენ მას, ანდა პასიურად მიჰყვებიან ცხოვრების სავალს.

მაგრამ არიან ისეთებიც — და სწორედ ასეთები განაპირობებენ ხშირად ქვეყნის აღმშენებლობას — ვინც თავიდანვე უწყიან რა სურს, რა უნდა აკეთოს ხალხის, ქვეყნისათვის და მტკიცედ, მიზანმიმართულად მიიწევს თავისი დანიშნულების განხორციელებისკენ.

სწორედ ასეთთაგანი გახლდათ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ბატონი **გრიგოლ (გარუნ) აკოფოვი.**

გაოცებს, რამდენი შეძლო, რა მრავალმხრივ იღვაწა და რწმუნდები, რომ მართლაც უსაზღვროა ადამიანის შესაძლებლობები. საქმეში ჩახედულთათვის, ცხადია, რაოდენი შრომა, ძალისხმევა დგას უკვე ჩამთვლილ და ქვემოთ მოხმობილ მიღწევებისა თუ წოდებების მიღმა.

ბატონი **გრიგოლი (გარუნი)** 1923 წლის 19 ოქტომბერს დაიბადა თბილისშÀი. ჯერ თბილისის საავიაციო ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და, სავარაუდოდ, მოწოდებამ იჩინა თავი – მოსკოვის ფიზიკური კულტურის სახელმწიფოს ცენტრალური ინსტიტუტის თბილისის განყოფილება.

ჭეშმარიტად იპოვა თავისი მოწოდება და ვნახოთ, რაოდენ ნაყოფიერად, თავდადებულად და მრავალმხრივ იღვაწა ამ გზაზე.

ზემოჩამოთვლილს დავურთავთ: იყო საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ბატონ **მიხეილ კაკაბაძესთან** ერთად იდგა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის ჩამოყალიბების სათავეებთან და მისი პირველი თავმჯდომარე გახლდათ. 40 წელიწადი იმუშავა გაზეთ **„სოვეტსკი სპორტისა“** და ყოველკვირეულ **„ფუტბოლ-ჰოკეის“** საკუთარ კორესპონდენტად ამიერკავკასიასა და, შემდგომ, საქართველოში. იყო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და **აკაკი წერეთლის** სახელობის საბავშვო ფონდის პრემიების ლაურეატი. თამაშობდა კალათბურთს თბილისის „ლოკომოტივში“, ფეხბურთს – ბაქოს „ნეფტიანიკსა“ და ერევნის „დინამოში“. 1940 წლიდან იწყებს მსაჯობას. 1947 წლიდან უკვე საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში მსაჯობს. იყო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კალათბურთსა და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში; საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ძნელი წარმოსადგენია, რაოდენი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ საბჭოთა პერიოდში, თანაც „მოძმე“ რესპუბლიკიდან ჯერ საზღვარგარეთ, სახელდობრ, კაპიტალისტურ ქვეყანაში გაეშვით და, მით უფრო, სპეციალურ კორესპონდენტად ოლიმპიადაზე, კალათბურთში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

არადა, ბატონი გარუნი, გაზეთ „ლელოს“ რედაქტორის მოადგილე, ბატონ **ზურაბ ჯაფარიძესთან** ერთად, პირველი აკრედიტირებული ჟურნალისტი იყო საქართველოდან რომის ოლიმპიურ თამაშებზე (1960 წ.). ამას კი ტოკიოს, მიუნჰენის, მოსკოვისა და ატლანტის ოლიმპიადები მოჰყვა.

ბატონი გარუნი 1963-1983 წლებში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ინფორმაციის განყოფილების გამგედ მუშაობდა.

1983 წლიდან კი, თითქმის 20 წელიწადი იყო გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ სპორტის განყოფილების გამგედ. არის 20-ზე მეტი წიგნის, ბროშურის, კალენდრის, ცნობარის ავტორი ფეხბურთსა და კალათბურთში.

ღვაწლმოსილი, ამაგდარი ადამიანი, ბატონი **გრიგოლ (გარუნ) აკიფოვი** ვალმოხდილი წავიდა ამა სოფლიდან 2020 წლის 17 ოქტომბერს და წარუშლელი კვალი დატოვა ქართული სპორტის განვითარების ისტორიაში.

***

გარუნ აკოფოვი ოცზე მეტი საინტერესო წიგნის ავტორია. ისინი საქართველოს სპორტისა და ისტორიის ფუნდამენტური გზამკვლევებია და დიდ სპორტსმენთა შესახებ ახალ, ნიჭიერად შესრულებულ ჩანახატებსა და სპორტული ცხოვრების მნიშვნელოვანი ამბების ასახვას შეიცავს.

ოჩამჩირლების კავშირ „ერთობის“ პრეზიდენტის, ბატონ **თენგიზ ნორაკიძის** ძალისხმევით გაიმართა ბატონ **გარუნ აკოფოვის** ნამუშევართა ფოტოგამოფენა, რომელიც მისი დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ნამუშევრებმა ღრმად, მრავალმხრივად ასახა ავტორის დიდი ნიჭი, შემოქმედებითი ფანტაზია და მრავალმხრივობა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: გაზეთ „აბხაზსკი მერიდიანის“ რედაქტორი, ბატონი **დევი ფუტკარაძე**, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, ბატონი **გიორგი გორგოძე**, დევნილთა განსახლების სამინისტროს წარმომადგენელი, ბატონი **ნოდარ ჩხარტიშვილი**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი ბატონი **მამუკა კვარაცხელია**, იუბილარის ვაჟიშვილი ბატონი **არტიომ აკოფოვი** და „ერთობის“ წევრები: **ვ. უბირია, დ. კემულარია, ნ. კობახიძე, რ. ჯანაშია, გ. ჩხეტია, თ. ჩიქობავა, თ. ნორაკიძე** (უმცროსი) და სხვანი.

საღამოს დასასრულს, ყველა სტუმარი სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდა.

ღონისძიება ფართოდ გააშუქა აფხაზეთის ტელევიზიამ.

თამაზ ჩიქობავა,
„ერთობის“ ვიცე-პრეზიდენტი

ციური (ციალა) უთმელიძის ხსოვნა

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ს რედაქცია თანაუგრძნობს რედაქციის კეთილ მეგობარს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს **პავლე მურადაშვილს** მეუღლის

ციური (ციალა) უთმელიძის გარდაცვალების გამო.

ქალბატონი ციური გახლდათ პედაგოგი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის 99-ე სკოლაში პედაგოგად და ერთგულად ემსახურებოდა მომავალი თაობების აღზრდის საპატიო საქმეს. ასევე იყო ეროვნულ გამოცდებზე დამკვირვებელ-შემფასებელი.

მან სამშობლოს აღუზარდა ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი, რომლებიც საამაყო არიან. ისინი მუდამ კეთილად მოიგონებენ მის ნათელ სულს, რასაც ასევე ვუერთდებით გულდაწყვეტით მთელი ჩვენი კოლექტივი.

გაზეთ „სახალხო განათლება-ს რედკოლეგია

ქეთევან ირემაშვილი-შუშტაკაშვილისა

იძინე მშვიდად, მეგობარო!

ციური (ციალა) უთმელიძის ხსოვნას

ხორცი კვდება, სული – არა!
მჯერა, შენ იძინებ წყნარად,
შერჩები მოგონებებსა,
იცოცხლებ ხსოვნაში მარად.

ტკივილიანი დღე არის,
კვლავ გეტყვი: -„დროებით, აბა!“
ცრემლი მიგაცილებს მრავლის,
სიყვარული მიგაქვს საგზლად.

შენ უკვე სახლში ხარ, მჯერა,
ჩვენ კი, მგზავრნი გვქვია, ალბათ,
მასპინძლობა კვლავ შენ „გერგო“,
ჩვენ კი – გაცილება, ალბათ.

ხორცი კვდება, მაგრამ სული...
ცოცხალია! გვჯერა მყარად.
გაგვიადვილებ ზესთ სოფლად
ცხოვრების განგრძობას, ალბათ.

შვილებსა და შვილიშვილებს
ღირსეულებს ტოვებ დიდად,
ამიტომ იძინე მშვიდად!
ვალი მოხდილი გაქვს წმინდად.

გულის ცრემლი, ცხარე ცრემლი,
შეიწიროს მაცხოვარმა,
დაამკვიდროს სასუფეველს,
სული შენი, თვით უფალმა!

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N7 (4614)
8 ნოემბერი / 2023 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113